MES 3 22 0000475332

11/05/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 26.04.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:05 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:40სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ერეკლე ასტახიშვილი - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
6. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
7. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
8. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. ლევან მოსახლიშვილი - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
10. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

11. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
12. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
13. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
14. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
17. გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

საბჭოს სხდომაზე დამსწრე მოწვეული წევრები:

ივანე აბიათარი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და „მედიცინის სკოლის“ ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
მაია ბიწკინაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი;
მარინე გელანტია - შპს „აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
თამარ ვალიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამკურნალო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
დავით კობეშავიძე - შპს „იმედის კლინიკის“ დირექტორი;
ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი;
ლევან რატიანი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;
ნათია სხვიტარიძე - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
ნინო შარიქაძე - შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;

ივანე ჩხაიძე - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
გივი ჯავაშვილი - საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

სხდომაზე მოწვეული პირები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომაზე დამსწრე პირები:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ნიკოლოზ ფარჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	**ლაშა მაჭარაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	**თამთა მოხევიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	**ნინო სარჯველაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
8	**ანი ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
9	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
10	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

11	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
12	**თამარ შენგელია**	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
13	**თამარ რატიანიძე**	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
14	**გვანცა მეტრეველი**	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
15	**დავით მღებრიშვილი**	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნინო ჩიკვაშვილი	შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი	დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი	**I, II, III, IV**
2	ნათია კილაძე		აღმასრულებელი დირექტორი	**I, II, III, IV**
3	ნანა მონიავა	შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი	კონსულტანტი	**I, II, III, IV**
4	გოჩა თუთბერიძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	რექტორი	**V**
5	სოფიო ხუნდაძე		ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	**V**
6	ნინო ტალიაშვილი		ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით	**V**
7	ზაზა ავალიანი		„დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**V**
8	შორენა წიკლაური		შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასისტენტ პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი	**V**
9	თინათინ გოგნაძე		„დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი	**V**

			(ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი	
10	თათია ხარაბაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**V**
11	თამარ პერტაია		მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	**V**
12	ლალი ჩხიკვაძე		მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	**V**
13	ირმა გრძელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**VI**
14	ნინო ქიმერიძე		სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განყოფილების უფროსი	**VI**
15	ქრისტინე ჩიხლაძე		სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	**VI**
16	რევაზ ჯორბენაძე		სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**VI**
17	მანანა შამილიშვილი		„ციფრული მედიისა და ინოვაციების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**VI**
18	ვლადიმერ ღლონტი		სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**VI**

19	მარინე გიორგაძე		სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	**VI**
20	ნათია კუპრეიშვილი		„ციფრული მედიისა და ინოვაციების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**VI**

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	ნატო გაბოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	ცირა ნიკოლაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III, IV
3	გულნარა ხაბურზანია	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
4	ჯილდა ჭეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
5	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
6	ირაკლი გაგუა	(ჩაერთო „ზუმით“)	V
7	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
8	ნინო დანელია	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
9	თინათინ ცომაია	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
10	მალხაზ გაგუა	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
11	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა საბჭოს სხდომაზე, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი-მეოთხე საკითხების განხილვაში, რომელიც წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხებს, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებდნენ ასევე, საბჭოს მოწვეული წევრები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ციფრული მედიისა და ინოვაციების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

შუამდგომლობის ინიციატორი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი თამთა ანთიძე. შუამდგომლობა ეხებოდა 2022 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებებში „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ“ გადაწყვეტილებაში (353078; 353079) ტექნიკური ხარვეზების გასწორებას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1.შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2.შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 05 აპრილის №353078 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
7. „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების

შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 05 აპრილის №353079 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ციფრული მედიისა და ინოვაციების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ამერიკული საერთაშორისო სკოლა American International School
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	განათლების საფეხური	დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (I-IX კლასები)
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	-
14	განხორციელების ადგილი	ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N39 ქ. თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატო გაბოშვილმა, განაცხადა, რომ შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესი განხორციელდა ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში, ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის, 9-10 მარტს. ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და იმ დოკუმენტაციას, რომელიც სკოლას ჰქონდა წარმოდგენილი. კითხვებზე პასუხის მიღების მიზნით ჩაატარეს ინტერვიურება სასკოლო საზოგადოებასთან, სასკოლო გეგმის შემუშავებაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან, განხორციელდა ონლაინ შეხვედრა VIII-XII კლასის მოსწავლეებთან და I-XII კლასელების მშობლებთან. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი დაარსებულია 2017 წელს, მისი მიზანი იყო ქართველი და უცხოელი მოსწავლეებისათვის ამერიკული განათლების პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების შეთავაზება, იგი აშშ-ის მააკრედიტებელი ორგანიზაციის - Advance Education-ის მიერ აკრედიტირებული პროგრამა გახდა 2019 წელს, 5 წლის ვადით. ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა „ამერიკის საერთაშორისო სკოლა“ აშშ-ის მიერ შემუშავებულ ძირითად სტანდარტებსა და მომავალი თაობის მეცნიერებათა სტანდარტებზე დაყრდნობით იყო შემუშავებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი პროგრამის გაცნობით/გადამოწმებით შესაძლებელი იყო ექსპერტებს დაესკვნათ, რომ პროგრამა „ამერიკული საერთაშორისო სკოლა“ არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ძირითად შემთხვევაში თავსებადი იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად გადაამოწმა საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმასთან შესაბამისობით ჰქონდა სკოლას წარმოდგენილი. 2019 წელს შშ-ის მააკრედიტებელი ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ სკოლას მიღებული ჰქონდა ანგარიში, რომელსაც გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი, სადაც დეტალურად იყო შეფასებული სკოლაში მიმდინარე პროცესები და წარმოდგენილ პროგრამას სკოლა-კოლეჯი სთავაზობდა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურეობის სახით. 2021 წლის 5 ნოემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გასცა თანხმობა ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის მიერ უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მოპოვების ღონისძიებების გატარების შესახებ, რის შედეგადაც სკოლამ დაიწყო სააკრედიტაციო დოკუმენტაციის მომზადება. ექსპერტთა განცხადებით, სრულად გადამოწმდა სასკოლო სასწავლო გეგმა, გარდა ამისა, ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა მომდევნო სასწავლო წლის (2022-2023) სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც სრულ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. საგანმანათლებლო პროგრამის ხუთივე სტანდარტი შესაბამისობაში იყო აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან და არ დაფიქსირებულა რაიმე ტიპის ხარვეზი.

14:16 საათზე საბჭოს შემოუერთდა დავით ჩოჩიშვილი, ერეკლე ასტახიშვილი.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ხუთივე სტანდარტთან მიმართებით შეისწავლა პროგრამა, საჭიროებისამებრ ვიზიტის განმავლობაში გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია. ასევე, განხორციელდა ინტერვიუირება და მიიჩნიეს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა სტანდარტებს. პროგრამას მაღალი შეფასება ჰქონდა მიღებული ამერიკის მააკრედიტებელი ორგანიზაციისგანაც. ბევრ შემთხვევაში ქართულ აკრედიტაციასა და ამერიკულ აკრედიტაციას მსგავსი შედეგები ჰქონდა, მაგ., მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობა, სკოლას შემუშავებული ჰქონდა მიზანმიმართული სისტემა, თუ რას აკეთებდა სკოლა, როდესაც გადმოდიოდა ახალი მოსწავლე და საჭირო იყო მასთან ინდივიდუალურად მუშაობა. ექსპერტთა ჯგუფმა ნახა დამატებითი გრაფიკი, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი დამატებითი მუშაობის დრო. მოსწავლეებიც აღნიშნავდნენ, რომ სკოლისგან ჰქონდათ მხარდაჭერა ამ მიმართულებით, რაც შეიძლება ჩაითვლილიყო სკოლის ძლიერ მხარედ. ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, ასევე აღნიშნა, რომ მხარდაჭერილი იყო მოსწავლეთა წარმატება. კერძოდ, მათ ჰქონდათ წვდომა სკოლის გარეშე საერთაშორისო/რეგიონალურ პროექტებზე. სკოლაშიც ეწყობოდა არაფორმალური აქტივობები, სადაც მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად შესაძლებელი იყო მათი თვითრეალიზაცია ამ მიმართულებით, სკოლის მოსწავლეები ინდივიდუალურად/გუნდურად მოიპოვებდნენ წარმატებას კონკურსებში.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით სკოლა მუშაობდა ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, ამიტომ დაინტერესდა თუ რა წინსვლა ჰქონდათ ამ მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების დამფუძნებელმა და გენერალურმა დირექტორმა, ნინო ჩიკვაშვილმა, განაცხადა, რომ მისი დაფუძნებული იყო ორი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი, რომელიც ქ. თბილისში ფუნქციონირებდა და შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი, რომელიც ქ. ქუთასიში და ქ. ბათუმში ფუნქციონირებდა. აღნიშნული სკოლების მიერ ინდივიდუალურად სააკრედიტაციო იქნა წარმოდგენილი ორი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. პირველი სკოლა ქუთაისში 2002 წელს გაიხსნა, 800-მდე მოსწავლეს ემსახურებოდა. მისი თქმით ერთ-ერთი მოწინავე სკოლა იყო იმერეთში, ინფრასტრუქტურით, მიღწევებით, მდგრადი განვითარების ფაზებით, წარმატებასა და პროგრესზე ორიენტირებული სკოლა იყო. ინფრასტრუქტურის კუთხით სწორედ ამას მოიცავდა მეხუთე სტანდარტი, სადაც ყველაზე მაღალი შეფასება ჰქონდა დაწესებულებას, ეს იყო მომავლის პროფესიების, ზოგადად ფიზიკის კუთხით ლაბორატორიების განვითარება, ბიზნესისა და მეწარმეობის განათლება, აღნიშნული დარგების განვითარება დაწესებულებისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა. ასევე, სკოლის დირექტორის თქმით მნიშვნელოვანი გეგმები ჰქონდა სკოლას აჭარის რეგიონში, მიმდინარეობდა ახალი შენობის მშენებლობა, რომელიც მოემსახურებოდა 800 მოსწავლეს. აღნიშნულ სკოლაში წარმოდგენილი იქნებოდა ახალი ინფრასტრუქტურა, ახალი კამპუსი, კიდევ უფრო თანამედროვე ტექნოლოგიებით. ასევე, სკოლის სურვილს წარმოადგენდა პროფესიული განვითარების ცენტრის არსებობა ახალგაზრდებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, დააზუსტა, გადაამოწმა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა დასაქმებული პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები და თუ გადაამოწმეს იყო თუ არა დაწესებულებაში შიდა რეგულაციები, რომლის მიხედვითაც ბაკალავრს ჰქონდა გაკვეთილების ჩატარების უფლება.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დამატებით დაინტერესდა საბჭოს მოწვეული წევრი, თამარ მამსიკაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ წარდგენილი იყო მასწავლებელთა CV-ები,

მოხდა თუ არა მასწავლებელთა კვალიფიკაციის გადამოწმება მოქმედი პროფესიული განვითარების სქემასთან მიმართებით. ექსპერტების მოსაზრებით პროგრამები შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, მან სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ ასევე, შეფასების სისტემაზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნატო გაბოშვილის, განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის სტანდარტები ცალკე ადამიანური რესურსების შემოწმებას არ ითვალისწინებდა, ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა ის ადამიანური რესურსი, რომელიც ამჟამად ახორციელებდა სწავლა-სწავლების პროცესს, გარდა ამისა დაწესებულებამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის პროექტი, რომელშიც გაწერილი იყო კონტინგენტის სავარაუდო გაზრდის შემთხვევაში თუ რომელი ადამიანური რესურსით გეგმავდა სკოლა სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვას. სკოლას ჰქონდა გამოცხადებული რამდენიმე ვაკანსია, იმ შემთხვევისთვის, თუ სკოლის კონტინგენტი გაიზრდებოდა. ასევე, E-School-ის ბაზაში გადამოწმდა არსებულ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული ინფორმაცია, თითოეული პედაგოგის სტატუსი, ყველა პედაგოგი აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, პროგრამაში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა STEM-ის მიმართულებით საგნების სწავლებასა და განვითარებაზე.
ექსპერტთა შეფასებით სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი ორიენტირებული იყო განვითარებაზე. ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ის ფაქტობრივი მასალა, თუ რა აქტივობებს ახორციელებდა სკოლა წლების განმავლობაში, დისტანციურად ჩატარებული ტრენინგების ვიდეო მასალა და სხვა დოკუმენტური მასალა. სკოლას აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით მიეცა რჩევა, რომელიც ხელს შეუწყობდა სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და ორგანიზებას, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის 2022-2023 სასწავლო წლის პროექტის საათობრივ ბადეში წარმოდგენილი საგნები გაწერილიყო კათედრების მიხედვით.
საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა არსებობდა თუ არა დაწესებულებაში რაიმე რეგულაცია დასაქმებულთა აკადემიურ ხარისხთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მისი ინფორმაციით ბაკალავრიატის სტუდენტს არ ჰქონდა სკოლაში სწავლების უფლება, მას გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების პროგრამა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატო გაბოშვილმა, განაცხადა, რომ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სტატუსი, უფროსი, წამყვანი, მენტორი მასწავლებელი, მაგრამ, ასევე სკოლას შეეძლო მოეწვია სტატუსის არ მქონე მასწავლებელი მოწვეულ პედაგოგად, რომელსაც უნდა ჰქონოდა კვირეული დატვირთვა, არაუმეტეს 9 საათისა. მისი თქმით, დაწესებულებას ჰყავდა ძალიან ბევრი დოქტორის სტატუსის მქონე, მენტორი და უმეტესობა წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგები.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

2. მეორე საკითხი: შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ამერიკული საერთაშორისო სკოლა American International School
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	განათლების საფეხური	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (X-XII კლასები)
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	-
14	განხორციელების ადგილი	ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N39 ქ.თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატო გაბოშვილმა, განაცხადა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ,,ამერიკული საერთაშორისო სკოლა“ შესაბამისობაში იყო აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. მისი განცხადებით, IX-XII კლასის ჩათვლით სკოლას შემოღებული ჰქონდა შეფასების 100 ბალიანი სისტემა, სადაც მკაფიოდ იყო გაწერილი, თუ რა შემთხვევაში იღებდა მოსწავლე ქულას, 51 და მეტი - დადებითი შეფასება იყო. ექსპერტის თქმით, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა შეფასების მეთოდოლოგია, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის კურსდამთავრებული იღებდა როგორც ამერიკულ დიპლომს, ასევე ქართულ ატესტატს, აღნიშნული შეფასების სისტემა კონვერტირდებოდა 10 ბალიან შეფასების სისტემაში.
საბჭოს წევრი, თამარ სირაძე, დაინტერესდა იყო თუ არა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მხოლოდ ინგლისურენოვანი პროგრამები. მისი განცხადებით წარდგენილი იყო, ინგლისური, რუსული, გერმანული და ესპანური ენები, რაც ახსნილი იყო შემდეგნაირად, რუსული მშობლების მოთხოვნა იყო, ხოლო გერმანული ენა გოეთესთან კავშირის გამო. თამარ სირაძე დაინტერესდა, მაგ., რატომ არ ისწავლებოდა ფრანგული ენა, რამ გამოიწვია ზემოთ დასახელებული ენების წარმოჩენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
სკოლის გენერალურმა დირექტორმა, ნინო ჩიკვაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლის ყველა ლოკაციაზე ისწავლებოდა ინგლისური, რუსული, გერმანული ენები, ხოლო თბილისის სკოლაში შეთავაზებული იყო ასევე, ესპანური ენა გერმანულის პარალელურად. ასევე, იგეგმებოდა მისი სწავლება ქუთაისშიც და ბათუმშიც. მან განმარტა, რომ ესპანური იყო ამერიკის მომიჯნავე ენა და ვინაიდან მათი პრიორიტეტული სამიზნე იყო ამერიკული უნივერსიტეტები, აქედან გამომდინარე, ისწავლებოდა ესპანური თბილისის სკოლაში. გერმანული ენის სწავლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლას ბევრი დამეგობრებული სკოლა, ლიცეუმი და კოლეჯი ჰყავდა გერმანიაში, უამრავი პარტნიორი და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა, როგორც მასწავლებლების ასევე მოსწავლეებისთვისაც. სკოლის დირექტორის ინფორმაციით XII კლასელების დიდი ნაწილი უკვე ჩარიცხული იყო გერმანიის უნივერსიტეტებში, სამედიცინო, ტექნოლოგიების მიმართულებით და ა.შ. მათთვის ასევე სასიხარულო იყო, რომ გოგოები მიდიოდნენ STEM-ის მიმართულებით.
დაწესებულების აღმასრულებელმა დირექტორმა, ნათია კილაძემ, განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ სამომავლო გეგმები გერმანულ ენასთან მიმართებით და ამ მიზნით სკოლაში იმყოფებოდა გერმანიის ელჩის მოადგილე. მათი სამომავლო გეგმები გერმანულთან დაკავშირებით ეხებოდა სადიპლომო სკოლის გახსნას, რომელიც ითვალისწინებდა, რომ მათ სკოლაში ისწავლებოდეს არა მხოლოდ რუსული და ინგლისური, არამედ სხვა ენების გვერდით

გერმანული, როგორც სადიპლომო, რადგან მათი მოსწავლეები აბარებდნენ გერმანიის უნივერსიტეტებში. დაწესებულებას გაცვლითი პროგრამების მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდა, რადგან ჰყავდათ პარტნიორები. ნათია კილაძის თქმით, მიუსტერის პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტები ჩამოდიოდნენ საქართველოში და სკოლა პროგრესის სამივე ფილიალში გადიოდნენ სტაჟირებას, ამიტომ დაწესებულებას ჰქონდა სამომავლო ხედვები გერმანულთან დაკავშირებით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით.
საბჭოს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება მე-3 და მე-4 საკითხები გაერთიანებულ ფორმატში განეხილათ, რადგანაც 1-ლი და მე-2 საკითხების განხილვის გამოცდილებიდან გამომდინარე, აღნიშნულ შემთხვევაშიც ერთი დაწესებულების მიერ იქნა წარმოდგენილი ორი მსგავსი პროგრამა. სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღშნიშნული პოზიცია.

3. მესამე საკითხი: შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. მეოთხე საკითხი: შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ამერიკული საერთაშორისო სკოლა American International School
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	განათლების საფეხური	დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (I-IX კლასები)
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	-
14	განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გ. N20. ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის ქ.N11-ა. (ფილიალი)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ამერიკული საერთაშორისო სკოლა American International School
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	განათლების საფეხური	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (X-XII კლასები)
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-

12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	
14	განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გ. N20. ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის ქ.N11-ა. (ფილიალი)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ცირა ნიკოლაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლის ორივე ლოკაციაზე იდენტური პროგრამა ხორციელდებოდა იყო საფეხურების შესაბამისად. წარმოდგენილი პროგრამები შესაბამისობაში იყო აკრედიტაციის სტანდარტებთან. ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, ექსპერტებმა სკოლა დაათვალიერეს დისტანციურ ფორმატში. ცირა ნიკოლაშვილმა აღნიშნა, რომ ყველა კლასში იყო მონიტორი, აღჭურვილი იყო STEM-ის ლაბორატორია. თანამედროვე ტექნოლოგია ჩართული იყო სწავლების პროცესში. ექსპერტის თქმით, მასწავლებელთა კორპუსის პროფესიულ განვითარებას ექცეოდა დიდი ყურადღება, 15 პედაგოგი გაგზავნილი იყო პოლონეთში პროფესიულ კურსზე. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება დაწესებულების ძლიერი მხარე იყო და ექსპერტთა ჯგუფმა ნახა აღნიშნული მიმართულებით პროექტების განხორციელების მასწავლებლების მიერ შექმნილი ბანკი. სკოლაში მუშაობდა დამწყები კადრების მხარდამჭერი მექანიზმები. აღნიშნულ დაწესებულებას ამერიკული მააკრედიტებელი ორგანიზაციის, კოგნიას შეფასებაში ჰქონდა უმაღლესი შეფასება, 400 ქულიდან მინიჭებული ჰქონდა 365 ქულა და მეტწილად აკმაყოფილებდა კოგნიას სტანდარტებს.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ, განაცხადა, რომ სკოლა ორიენტირებული იყო განვითარებაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის სტანდარტი არ ითვალისწინებდა დეტალიზებას თვალშისაცემი იყო, რომ სკოლა თავისი რესურსით ცდილობდა სამომავლოდ, მისთვის არსებული საგნობრივი კომპეტენციის მიღმა აემაღლებინა მასწავლებელთა ინგლისური ენის ცოდნა. შესაბამისად, როგორც ქუთაისის, ისე ბათუმის წარმომადგენლობაში, B2 დონეზე მასწავლებელთა გადამზადება ხდებოდა სკოლის ბაზაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ინვესტიცია იყო სამომავლო განვითარების მხრივ. ექსპერტის თქმით, პროექტული სწავლება, რომელიც თავისებურად სიახლე იყო, ახალი სკოლის მოდელის

ფარგლებში და ბავშვებთან გასაუბრებისას საკმაოდ ხაზგასმით ითქვა, რომ მათთვის ბევრად უფრო საინტერესო იყო ამ პროექტში შეძენილი უნარების ტრანსფერი, რაც სკოლის დამსახურება იყო.
ექსპერტის განცხადებით, ორივე პროგრამის დასკვნაში ფიქსირდებოდა ერთი რჩევა, რომლის მიხედვითაც, სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში შესაბამისობაში იყო მოსაყვანი საათობრივი ბადეში ასახული ინფორმაცია და თანდართული კომენტარი უცხოური ენების არჩევანის შესახებ მე-2/11 კლასებში (გერმანული, რუსული). საათობრივ ბადეში კი აღნიშნული იყო მხოლოდ გერმანული ენის სწავლების შესახებ მე-2/12 კლასებში. სკოლა იზიარებდა აღნიშნულ რჩევას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
გენერალურმა დირექტორმა, ნინო ჩიკვაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო აკრედიტაციის პროცესი. მან მადლობა გადაუხადა ორივე სკოლის პროგრამების შემფასებელ ექსპერტთა ჯგუფებს კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის.

15:00 საათზე საბჭო დატოვეს მოწვეულმა პირებმა - დავით მალაზონიამ და თამარ მამსიკაშვილმა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:05
დასრულების დრო: 15:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

საბჭოს შემოუერთდა გურანდა ჭელიძე.
საბჭოს სხდომა დატოვა ერეკლე ასტახიშვილმა.

5. მეხუთე საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	29.04.2020 გადაწყვეტილება № 351830
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა - 0912
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	წერეთლის ქ. №13, ქ. ქუთაისი, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - ეკატერინე ნაცვლიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მეირი სკოტმა ცენტრს გადაუგზავნა ვიდეოჩანაწერი, სადაც იგი საუბრობდა, რომ მიუხედავად ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ გაწეული შრომისა შეექმნა ინტეგრირებული, სპირალური კურიკულუმი და ახალი კამპუსის მატერიალური ბაზა, დაფიქსირდა უარყოფითი ფაქტორი, რომ პანდემიის გამო უნივერსიტეტმა ძალიან ცოტა სტუდენტი მიიღო. ამასთანავე, 11 სტუდენტიდან მხოლოდ ერთი იყო ქუთაისში, დანარჩენები

კი სწავლობდნენ დისტანციურად დაშედარებით (მნიშვნელოვნად) გვიან დაიწყეს სწავლა, ვიდრე სტუდენტები, რომლებიც დადიოდნენ დაწესებულებაში. აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა ის, რომ აღნიშნული სტუდენტების განვითარება საკმაოდ ლიმიტირებულია. გაიცა 23 რეკომენდაცია, რომელთა ძირითადი ნაწილი ეხებოდა მეორე სტანდარტს. რეკომენდაციების გაცემის მიზანია, რომ უნივერსიტეტს მოეხდინა ფოკუსირება იმ ცვლილებებზე, რომლებიც საჭიროა პროგრამის განსახორციელებლად. რამდენიმე ძირითადი რეკომენდაცია ეხებოდა, სამიზნე ნიშნულებს, კურიკულუმის სხვადასხვა ელემენტების ერთმანეთთან აცდენას, ასევე პროგრამის გრძელვადიანი ელემენტების შესახებ ცნობიერების ნაკლებობას ისეთ ნაწილში, როგორიცაა კლინიკური და პროფესიული უნარები, რაც ნიშნავს იმას, რომ საგანი უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ კლინიკოსების მიერ. რეკომენდაციაში, ასევე აღნიშნული იყო გაგების ნაკლებობა OSCE-ს გამოცდის პრინციპებისა და პროცესების შესახებ, ამასთანავე, OSCE-ს შემფასებლების ფუნქციით ხდებოდა მხოლოდ ტუტორების ჩართვა. OSCE-ს გამოცდა განხორციელდა მხოლოდ ერთი სტუდენტის მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ რთული იქნება ტრადიციული მიდგომის გამოყენება, რომელიც ასევე გამოიყენება OSCE-ს სტანდარტების დაგეგმვაშიც. რეკომენდაციებში აღნიშნული ძირითადი მიგნებების გათვალისწინებით ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ზოგადად ფაკულტეტზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ თუ რამდენად მნიშვნელოვანია კურიკულუმის დიზაინი და მისი მიწოდება სტუდენტებისათვის, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ ფაკულტეტზე მოღვაწე პერსონალის დატრენინგება საკმაოდ მნიშვნელოვანია. ზოგადად, მნიშვნელოვანი გამოწვევა დაფიქსირდა პერსონალის ტრენინგების მიმართულებით, რათა აიმაღლონ ცნობიერება თუ რა არის მათი როლი სასწავლო პროცესში და გააცნობიერონ იმ დიდი მნიშვნელობის შესახებ, რაც არსებობს სწავლა-სწავლების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფასა და პროგრამის განვითარებას შორის. ცნობიერების ნაკლებობა გამოიხატა ინტერვიუებში, რომლებიც ჩატარდა ადგილობრივ კლინიკურ პროვაიდერებთან, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ცნობიერება საერთოდ არ არსებობდა, ვინაიდან პროცესში სტუდენტთა რაოდენობა მცირეა, რთულია მიმდინარე უნარების დანახვა, მათ შორის ინგლისური ენის უნარებისა, რათა განახორციელონ სწავლა-სწავლების პროცესი, ისე, როგორც დაგეგმილია. თუმცა მას შემდეგ, რაც სტუდენტების რაოდენობა გაიზრდება სწავლა-სწავლების პროცესის ლოგისტიკა ზედამხედველების ერთ-ერთი გამოწვევა იქნება. მეოთხე სტანდარტის შესახებ, განმარტა, რომ საუბარია ერთ-ერთ ძირითად სტანდარტზე, მისი თქმით თბილისში მყოფი პერსონალის ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში და რეგულარული მგზავრობა ქუთაისში, შეიცავს გარკვეულ რისკს პროგრამის მდგრადობასთან დაკავშირებით. რეკომენდაცია გულისხმობდა, რომ დეტალურად ყოფილიყო შეფასებული არსებული რისკები, რათა წინასწარ ყოფილიყო თავიდან აცილებული მნიშვნელოვანი გამოწვევები სწავლისა და შეფასების პროცესში. იმის გათვალისწინებით თუ რამდენად მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული საკითხები, მეხუთე სტანდარტში გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაცია. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ფაკულტეტისა და მედიცინის სკოლის მმართველი გუნდი და პროგრამის კომიტეტი არიან ძირითადი პირები არსებული პრობლემების გადასაჭრელად და პროგრამის განსავითარებლად. ასევე, რეკომენდირებულია მმართველო ორგანოების მიერ რეგულარული შეხვედრების ფორმალიზება შეხვედრებზე დასწრების ოპტიმიზაციისთვის. მისი განმარტებით გაიცა კონკრეტული რჩევები, რომლებიც ეხებოდა სხვადასხვა საკითხს და არის ძალიან საჭირო და გასათვალისწინებელი განსახილველი პროგრამის განსავითარებლად.

ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა, მადლობა გადაუხადა დაწესებულებას ღიაობისთვის, მისი განმარტებით, იგი ცოტა ხნით ადრე ჩართული იყო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესშიც და ავტორიზაციის დროს გაცემული რეკომენდაციების უმეტესობა ეხებოდა სამედიცინო პროგრამას, რომელთა ნაწილიც უკვე შესრულებულა. აკრედიტაციის პროცესში კი, ძირითადად, გაიცა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ვერ მოესწრო იმ პერიოდის განმავლობაში.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, განაცხადა, რომ პირველმა რეკომენდაციამ (ქუთაისის უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ მათი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა უნიკალურია რეგიონისთვის, რადგან ეფუძნება ადგილობრივ კულტურულ ნორმებს, თუმცა ადგილობრივ მოსაზრებებთან შესაბამისობას გაამყარებდა ადგილობრივად დაფუძნებული კვალიფიციური გუნდი, რომელსაც გამოცდილებით შეუძლია სრულად გაითვალისწინოს და გაიგოს ეს ადგილობრივი საჭიროებები) გამოიწვია გაუგებრობა, შესაბამისად სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ, თუ რატომ არის აღნიშნული საკითხი რეკომენდაციად წარმოდგენილი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ მან განაცხადა, რომ ხაზი აქვს გასმული ინგლისურ ენას, რომ მისი გაუმჯობესებაა საჭირო. დოკუმენტაციით კი ირკვევა, რომ აკმაყოფილებს საქართველოში არსებულ რეგულაციებს, მაგრამ დაინტერესდა ხომ არ უნახავს ექსპერტთა ჯგუფს გამოცდების ჩანაწერები, ან რის საფუძველზე იყო გაცემული აღნიშნული რეკომენდაცია.
ასევე, დაინტერესდა OSCE-სთან დაკავშირებით, ვინაიდან შესაბამისი სახელმძღვანელოების მიხედვით, არსად არ არის მითითება, რომ არ შეიძლება კონკრეტული ინსტიტუციის ლექტორი იყოს გამომცდელი. ობიექტურობისთვის სასურველი იქნებოდა გარე გამომცდელის არსებობა, მაგრამ მისთვის გაუგებარია საქართველოს რეალობიდან/პრაქტიკიდან გამომდინარე რამდენად სწორია აღნიშნული რეკომენდაციის კატეგორიულობა, რადგან OSCE-ს ობიექტურობას განსაზღვრავს თუ როგორ არის ორგანიზებული, შედგენილი „Check list-ები“, როგორ ხდება მათი შემოწმება გამოცდის პერიოდში, და არა ლექტორის პოზიციის დაზუსტება, მოწვეულია თუ აკადემიური პერსონალია.
ერთი სტუდენტის პრობლემის შესახებ OSCE-თან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ გაცემული იყო რეკომენდაცია - იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე პირველ ნაკადში სტუდენტების რაოდენობა დაბალია და შესაძლოა „სტანდარტის დაწესების“ აღიარებული მიდგომის ეფექტურობა შეამციროს, საჭიროა გამოირკვეს და დაინერგოს ფსიქომეტრიის სპეციალისტის რჩევები მომავალი OSCE შეფასების განხორციელებამდე - გარდა იმისა, რომ კონკრეტული სპეციალისტები საქართველოში არ არიან, OSCE-ს გამოცდის მთელი მომხიბვლელობა იმაშია, რომ თუნდაც ერთი სტუდენტის შემთხვევაშიც კი შესაძლებელია მისი ობიექტურად შეფასება, იმ შემთხვევაში თუ ყველაფერი სწორად არის ორგანიზებული და აქედან გამომდინარე დაინტერესდა, თუ რამდენად შეესაბამება OSCE-ს ჩატარების მეთოდოლოგია სტანდარტებს.
ასევე, დაინტერესდა თუ როგორ აპირებს დაწესებულება კლინიკების სიმძლავრისა და რაოდენობის შესაბამისობაში მოყვანას, სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში. სასწავლო კურსთან „კლინიკური და პროფესიული უნარები V - კლინიკური აზროვნება“ დაკავშირებით დააზუსტა, თუ რატომ არის არაკლინიცისტები შერჩეული მასწავლებლებად, იგეგმება თუ არა აღნიშნული მიდგომის შეცვლა, ექსპერტთა ჯგუფმა კი აღნიშნა, რომ „როგორც ჩანს, არ არსებობს PBL-ისა და CBL-ის შემთხვევების ბანკი“, მისთვის გაუგებარია ტერმინი „შემთხვევების ბანკი“ და, შესაბამისად, სთხოვა დაეზუსტებინათ აქვთ თუ არა შემთხვევების ბანკი.
4.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის შესახებ დაინტერესდა, ვინაიდან პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის დიდი რაოდენობა თბილისიდან მიწვეული პერსონალია, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში როგორ აპირებს დაწესებულება ამის დარეგულირებას და რამდენად ეხება აღნიშნული კლინიკურ ნაწილს, რადგან კლინიკური პრაქტიკა უნდა ჰქონდეს კლინიცისტ პედაგოგს, რათა უზრუნველყოს საწოლთან სწავლება, დაინტერესდა თუ როგორ იგეგმება აღნიშნულის ორგანიზება.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ნარატიულ და სარეკომენდაციო ნაწილში გამოკვეთილია რამდენიმე საკითხი, რომელთა დაკავშირებითაც რამდენიმე რეკომენდაციას სთავაზობენ ინსტიტუციას, 1.1 კომპონენტში არის ჩანაწერი (ქუთაისის უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ მათი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა უნიკალურია რეგიონისთვის, რადგან ეფუძნება ადგილობრივ კულტურულ ნორმებს, თუმცა ადგილობრივ მოსაზრებებთან

შესაბამისობას გაამყარებდა ადგილობრივად დაფუძნებული კვალიფიციური გუნდი, რომელსაც გამოცდილებით შეუძლია სრულად გაითვალისწინოს და გაიგოს ეს ადგილობრივი საჭიროებები) - „კვალიფიციური გუნდი“, რაც მისთვის ბუნდოვანია და სთხოვა დაეზუსტებინა ექსპერტთა ჯგუფს თუ რას გულისხმობდნენ აღნიშნულ ჩანაწერში.

1.2 კომპონენტში (სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის გაცნობითი/საორიენტაციო ტრენინგი უნდა მოიცავდეს ისეთ ელემენტებს, რაც დაეხმარება ლექტორებს სრულად გაიაზრონ მათი როლი და წვლილი პროგრამის მუდმივ განვითარებაში, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგებზე დაყრდნობით) საუბარია პერსონალისთვის გაცნობითი ტრენინგის ჩატარებაზე, გარდა ამისა 2.6 კომპონენტში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტთა კლინიკური უნარების განვითარების ეფექტურად შეფასება მთელი პროგრამის განმავლობაში, განსაკუთრებით კი კლინიკურ ფაზაში, სადაც ვითარდება და იხვეწება მრავალი მაღალი დონის უნარი, რეკომენდებულია შესაბამისი კლინიკური პერსონალისთვის ინტენსიური ტრენინგის ჩატარება შეფასებაში) ჩანაწერია პერსონალისთვის შეფასების ტრენინგის ჩატარებაზე, ასევე, ექსპერტთა ჯგუფი საუბრობდა ინგლისური ენის ცოდნის დეფიციტზე, ნარატივში კი ექსპერტთა ჯგუფის წევრები საუბრობდნენ დატვირთვაზე, რომ ზოგიერთ პედაგოგს 12 სასაწავლო კურსის წაკითხვა უწევს.

4.1 კომპონენტში გაცემულია რეკომენდაცია (ლოგისტიკურად რთულია მასწავლებლებისა და მოწვეული პერსონალის დაქირავების გეგმა, რადგან ისინი თბილისში მუშაობენ და სწავლებისთვის რეგულარულად მოუწევთ ქუთაისში მგზავრობა. ეს თავიდანვე სარისკოა, მითუმეტეს სტუდენტების რაოდენობის ზრდის შემთხვევაში. რისკების შეფასება მკაფიოდ განსაზღვრული შემარბილებელი ქმედებებით უნდა ხორციელდებოდეს და ყოველწლიურად განიხილებოდეს მიმდინარე გეგმის ნებისმიერ აუცილებელ ცვლილებასთან ერთად). მან აღნიშნა, რომ არ არის დარგის ექსპერტი, თუმცა გაეცნო დოკუმენტაციას და მისი მოსაზრებით მიზნები და შედეგები გადის საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე, თუმცა ძირითადად არის ადამიანური რესურსების პრობლემა, რადგანაც საუბარია ტრენინგებზე და არა დარგობრივი ნიშნით კვალიფიკაციის ამაღლებაზე, პერსონალის რაოდენობა არ არის საკმარისი, ასევე, დგას მათი როლისა და ფუნქციების უფრო მეტად გათვითცნობიერების საკითხი, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რატომ არ გაიწერა აღნიშნული 4.1 კომპონენტში (ადამიანური რესურსები).

მან განმარტა, რომ რეკომენდაცია ეს არის ხარვეზი/გარკვეული სტანდარტის დარღვევა და დაინტერესდა, თუ რამდენად სწორად მიაჩნდა ექსპერტთა ჯგუფს, რომ 4.1 კომპონენტში ლოგისტიკური საკითხი, უნივერსიტეტი პერსონალს თბილისიდან ჩამოიყვანს თუ ბათუმიდან, შესაძლებელია იყოს სტანდარტის დარღვევა და რეკომენდაციის გაწერის საფუძველი. მან განმარტა, რომ თვითონ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ასწავლის და ძალიან ბევრი პედაგოგი თბილისიდან არის მოწვეული, თუ ექსპერტი აკრედიტაციის პროცესში დაწერს, რომ ეს ხარვეზია, ამას რეკომენდაციად ვერ მიიღებს, რადგან ეს არ არის სტანდარტის დარღვევა და აღნიშნული საკითხი პროგრამასთან მიმართებით ხარვეზად არ მიიჩნევა.

იგი დაინტერესდა ბიუჯეტის საკითხითაც, გაეცნო ბიუჯეტის დოკუმენტს, სადაც წარმოდგენილია საუნივერსიტეტო ბიუჯეტი და არა პროგრამული. მისთვის გასაგებია, რომ დაწესებულებას ჰყავს 11 სტუდენტი, იყო ჩანაწერი სტუდენტთა რაოდენობის 100-მდე გაზრდის შესახებ, დააზუსტა თუ როგორ უზრუნველყოფენ აღნიშნულს მდგრადობის კუთხით. მან სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს დაედასტურებინათ თუ რამდენად გადის პროგრამის სწავლის შედეგები/მიზნები კვალიფიკაციაზე.

16:42 საათზე საბჭო დატოვა ლევან მოსახლიშვილმა.

საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძემ, იკითხა მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციის (მმართველი ორგანო და პროგრამის კომიტეტი ჩართულია ყველა ინსტიტუციური და პროგრამული მოთხოვნის შესრულებაში და სტანდარტების მიღწევაში. ამჟამად ეს ჯგუფები იკრიბებიან საჭიროებისამებრ (საკმაოდ ხშირად), თუმცა შეხვედრების უფრო ოფიციალური განრიგი (წლიური კალენდარი) და თანმიმდევრული ანგარიშგების

სისტემები აუცილებელია პროგრამის ეფექტური ხელმძღვანელობისა და ადრეული ჩარევის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად) შესახებ, კერძოდ, თუ რა იყო აღნიშნული რეკომენდაციის გამომწვევი ფაქტორი, რადგანაც ჯგუფების შეკრება რეალურად ხდება. მან ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა დაეზუსტებინათ, თუ რას გულისხმობდნენ წლიურ კალენდარსა და ოფიციალურ განრიგში.

ექსპერტმა, ირინე ფხაკაძემ, 1.1 კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რადგანაც დაწესებულება აცხადებს, რომ ადგილობრივ დონეზე იმერეთის რეგიონში უნდა გააძლიეროს საზოგადოება, და საუბრობს ახალი ცოდნის გენერირებაზე, რის წინაპირობას პროგრამა წარმოადგენს, შესაბამისად, რეკომენდაცია შემუშავდა პანელების შედეგების გაანალიზების საფუძველზე, საინტერესოა თუ როგორ არიან ჩართულნი და როგორ აქვთ გააზრებული თბილისიდან წასულ გუნდს ადგილობრივი საჭიროებები და რამდენად არიან მზად ამ პროცესებში ჩართულობისთვის. შეფასება გაკეთდა იმ მოსაზრებით, რომ ყოფილიყო პროგრამისთვის განმავითარებელი.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ევროპის უნივერსიტეტთან პარტნიორობა და მათი გამოცდილების გაზიარება შეფასდა, როგორც საუკეთესო პრაქტიკა, ვინაიდან ევროპის ქვეყნებში მეტად მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარება.

ენის კომპეტენციის შესახებ მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ უნახავს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა გასაუბრების ჩანაწერები. ამასთანავე, კანონმდებლობის შესაბამისად სტუდენტების მიღება/ჩარიცხვასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს პრობლემა ვერ ექნება, თუმცა სტუდენტების სესიიდან გამომდინარე, როდესაც მოხდა მათთან გასაუბრება გაიცა რეკომენდაცია, რომ, სავარაუდოდ, სავარაუდოდ, ჩატარებული გასაუბრება სხვაგვარად უნდა წარმართულიყო, რათა ინგლისურ ენაში საკმარისი კომპეტენციის მქონე აპლიკანტები შერჩეულიყვნენ პროგრამისათვის პროგრამაში გაწერილი მიზნების მისაღწევად.

კლინიკური გამოცდის შესახებ ექსპერტმა განაცხადა, რომ აქაც მკაფიო იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრება, რომ საგნის პედაგოგი არ უნდა ყოფილიყო დამკვირვებელი/შემფასებელი. სწორედ ეს არის OSCE-ს ფილოსოფია, უამრავი სახელმძღვანელო და მითითება არსებობს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაინერგოს OSCE და ყველგან არის რეკომენდაცია, რომ სწორედ ობიექტურობის დაცვის მიზნით დამკვირვებელი არ უნდა იყოს პედაგოგი, სესიის დროსაც დაადასტურეს დაწესებულების წარმომადგენლებმა, რომ როდესაც სასწავლო კურსის პროფესორი ესწრება გამოცდას და არის შემფასებელი, უარყოფითად აისახება გამოცდაზე.

ადამიანური რესურსის შესახებ მან განაცხადა, რომ როდესაც დაწესებულება უცხოური უნივერსიტეტიდან იწვევს პროფესორს ეს მისასალმებელია, როდესაც ქართული, პარტნიორი უნივერსიტეტები უზიარებენ ერთმანეთს აკადემიურ პერსონალს, ესეც მისასალმებელია, თუმცა ინტერვიუს პროცესში გამოიხატა რეალობა, რომ თითქმის ყველა სასწავლო კურსი და, მათ შორის, კლინიკური საგნები იკითხება თბილისიდან მიწვეული კლინიცისტების მიერ, პრაქტიკული/ჯგუფური სამუშაოები კი ტარდება ქუთაისში დასაქმებული კლინიცისტების მიერ. არადა კლინიკურ ბაზებზე ვიზიტის დროს გამოიკვეთა კლინიკების ადმინისტრაციების პოზიცია, რომ თბილისიდან მოწვეული პერსონალი, რომელიც არ არის მათი თანამშრომელი ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების დაშვებას ამა თუ იმ კლინიკურ დეპარტამენტში და, შესაბამისად, აღნიშნული სწორედ პრობლემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით გახდა რეკომენდაციის შემუშავების მიზეზი, რადგან მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი ადასტურებს მათ კვალიფიკაციას, რომლებიც დასაქმებულნი არიან თბილისის სხვადასხვა დაწესებულებებში და აქვთ მაქსიმალური კვირეული დატვირთვა. ზოგადად, პროგრამის შესახებ მან განაცხადა, რომ თანდართული დოკუმენტაციის თანახმად დასტურდება პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა და შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. თუმცა ის რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა მათი გაზიარება, ორიენტირებული იყო დოკუმენტურად გაწერილის რეალობაში დანერგვაზე.

ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა, განაცხადა, რომ OSCE-თან დაკავშირებით ჰქონდათ პრაქტიკა, რომ საქართველოში რთულია სხვა გამომცდელების ჩართვა აღნიშნულ პროცესში. თუმცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ობიექტურობა სწორედ ამით განისაზღვრება. მან დასძინა, რომ OSCE ჩააბარა მხოლოდ ერთმა სტუდენტმა, რაც ფაქტობრივად იყო პრაქტიკული პროცედურა, თავისი „Check list"-ებით, მაგრამ პრაქტიკულ დროსაც ხორციელდება „Check list"-ების მომზადება, ისევე, როგორც OSCE-ს დროს, ობიექტურობის კომპონენტი არის გამოყოფილი.

საბჭოს წევრის, დავით ტეფნაძის, თქმით 3.1 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემულია რეკომენდაცია - მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების რაოდენობა ძალიან მცირეა და დიდი ხანი არაა, რაც ისინი პროგრამაზე ირიცხებიან, პროგრამის ზოგიერთი ელემენტის შესახებ გარკვეული გაუგებრობა არსებობდა. კერძოდ, როგორც ჩანს, შეფასების პროცესის გასაჩივრების სისტემაზე შეზღუდული გაგება არსებობდა, რაც ამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე უნდა განიხილებოდეს, როგორც მთლიანი არსებული საკომუნიკაციო სტრატეგიის ნაწილი - თუმცა ვებ გვერდზე გაწერილია ყველა დეტალი, რაც შეიძლება დასჭირდეს სტუდენტს, შესაბამისად დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ რეკომენდაციაში.

მოწვეული საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ, 2.2 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა ესაუბრათ ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის დამოუკიდებელ სავალდებულო საგნებად გაწერის შესახებ, რადგან არცერთი დოკუმენტი აღნიშნულს არ ავალდებულებს, აუცილებელი საკითხები კი გაფანტულია სხვა საგნებში და, შესაბამისად, დაინტერესდა თუ რატომ დარჩა აღნიშნული რეკომენდაციად.

საბჭოს თავმჯდომარემ, 2.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (რეკომენდებულია სამედიცინო ინფორმატიკის კურსის დამატება სავალდებულო კურსებში) შესახებ განაცხადა, რომ დაწესებულებას არგუმენტირებულ პასუხში აღნიშნული აქვს, რომ ეს არის მსჯელობა, რომელიც გაწერილია როგორც სწავლის შედეგებში, ასევე მიზნებში, შესაბამისად დაინტერესდა თუ რატომ დარჩა აღნიშნული რეკომენდაციად.

მოწვეული საბჭოს წევრმა, თამარ ვალიშვილმა, 2.6 კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დასკვნის დასაწყისშივე გაწერილია, რომ ერთ-ერთი კომპონენტი ნაწილობრივ არის შესაბამისობაში და საჭიროებს უფრო ღრმად შესწავლას, აღწერილია OSCE-ს გამოცდა, მისთვის გასაგებია, რომ შეფასება არ უნდა ხდებოდეს კურსის წამყვანის მიერ, თუმცა ერთ-ერთი შენიშვნა იყო, რომ არ ეძლეოდათ სათანადო უკუკავშირი, უკვე PBL გამოცდების შემდეგ. პროგრამას ერთი სტუდენტი ჰყავდა და ჩატარდა მხოლოდ ერთი გამოცდა, შესაბამისად დაინტერესდა თუ რას გულისხმობდნენ უკუკავშირში, რადგანაც კომპონენტი შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". იგი ეძებდა კიდევ რას შეიძლება შეხებოდა აღნიშნული შეფასება, თუმცა მხოლოდ აღწერილია გამოცდა და ის, რომ, საბოლოოდ, ვერ მოხერხდა ანალიზი. შესაბამისად, მან სთხოვა დაწესებულებას და ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ აღნიშნულ საკითხზე.

ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები უფრო ვრცელი იყო, მაგრამ დაწესებულებისგან მიღებული არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად კიდევ ერთხელ იმსჯელეს და ამოღებულია მთელი რიგი რეკომენდაციები.

სამედიცინო ინფორმატიკის შესახებ ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისი გარკვეული ნაწილები, სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების ქუდის ქვეშ არის, თუმცა სამედიცინო ინფორმატიკის კომპონენტები ვერ ნახეს ვერცერთ სილაბუსში, მაგ., ელექტრონული ისტორიების შევსება და სწორედ ამიტომ დარჩა აღნიშნული რეკომენდაციად, ანუ ინსტიტუციას პროგრამაში სამეცნიერო კუთხით გამოყენებული აქვს ინფორმატიკის კომპონენტები და არა მედიცინის კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის რექტორმა, გოჩა თუთბერიძემ, განაცხადა, რომ ღირებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები, თუმცა არ დაეთანხმა მეორე სტანდარტის შეფასებას, ვინაიდან, როდესაც ნაწილობრივ შესაბამისობად ფასდება რომელიმე სტანდარტი გაცემული უნდა იყოს ისეთი რეკომენდაცია, რომლის შესრულებაც მოითხოვს ერთ წელზე მეტ ვადას, მისი განმარტებით კი არცერთი რეკომენდაცია არ არის ისეთი, რომ მის შესრულებას დასჭირდეს ერთ წელზე მეტი, შესაბამისად საბჭოს სთხოვა დაეკორექტირებინა სტანდარტის შეფასება მეტწილ შესაბამისობით.

„დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ, 2.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს არსებული გეგმები დიდი რაოდენობით სტუდენტების საავადმყოფოებში განთავსების შესახებ, რათა გათვალისწინებული იქნეს, როგორც საავადმყოფოს ფიზიკური ტევადობა სტუდენტების რაოდენობის დასაკმაყოფილებლად, ასევე კლინიკური პერსონალის შესაძლებლობები – ასწავლონ სტუდენტებს სპეციალურ, აუდიტორიის ტიპის სივრცეებში, გადატვირთული კლინიკური ადგილებიდან მოშორებით) შესახებ განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა ორ სხვადასხვა კლინიკაში, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კლინიკური (პალატები, გადაუდებელი და ინტენსიური ოთახები, საოპერაციოები) და სასწავლო სივრცეები (აუდიტორიები, სტუდენტური სივრცეები). ინტერვიუების დროს კლინიკის წარმომადგენელმა კითხვაზე მზად იყვნენ თუ არა მიეღოთ სტუდენტების დიდი რაოდენობა კლინიკაში, მათ უპასუხეს რომ მზად არიან და აქვთ შესაძლებლობა მიიღონ 1000 სტუდენტი ქუთაისის უნივერსიტეტიდან. დაწესებულებას 17 სხვადასხვა კლინიკასთან აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება მემორანდუმის ფარგლებში, რომელთაგან 7 კლინიკა არის აფილირებული და 10 კლინიკა არის მულტიპროფილური. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ორ მულტიპროფილურ კლინიკაში. მემორანდუმის ფარგლებში მან გამოყო სამი ძირითადი მახასიათებელი, რომელიც მნიშვნელოვან ფაქტორად სახელდება დაწესებულების მხრიდან: 1. რომელი სასწავლო კურსები უნდა განხორციელდეს აღნიშნულ კლინიკაში; 2. სტუდენტების რა მაქსიმალური რაოდენობა უნდა იყოს ჯგუფში; 3. რომელი წლიური მაქსიმალური რაოდენობის გატარების საშუალება აქვს კლინიკას. უნივერსიტეტის შიდა რეგულაციიდან გამომდინარე კლინიკურ სასწავლო კურსებში არის მაქსიმუმ 11 სტუდენტი, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული 11 სტუდენტი სხვადასხვა კლინიკური სასწავლო კურსის განმავლობაში ერთიდაიგივე კლინიკაში მიდის, ანუ 1000 სტუდენტი, რომელიც ნახსენებია ნარატივში, ახალი სტუდენტი არ არიან და ათასივე სტუდენტი არ გადის პრაქტიკას ერთდროულად. მეორე დოკუმენტი, რომელზეც სურდა საუბარი, იყო შიდა რეგულაცია, რომელიც გულისხმობს პერსონალის დათვლის მეთოდოლოგიას და ითვლიან კლინიკურ სასწავლო კურსებზე დაყრდნობით თუ რა რაოდენობის განმახორციელებელი პერსონალია საჭირო. აღნიშნული დოკუმენტი არის Excel-ის ფაილში გაკეთებული, გამოთვლილია ფორმულით, რომლის მონაცემებიც ზუსტად არის გაწერილი, რა რაოდენობის განმახორციელებელი პერსონალი სჭირდებათ აღნიშნულ სასწავლო კურსებზე. მისი განმარტებით აღნიშნული ცხრილი აჩვენებს, რომ განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა სრულიად აკმაყოფილებს სტანდარტს, რომ მიაღწიონ სწავლის შედეგებს და განახორციელონ პროგრამა. თუმცა, როდესაც მემორანდუმის გაფორმებამდე აღნიშნულ ინფორმაციას კლინიკების წარმომადგენლებს აცნობდნენ, მათ ზუსტად მიაწოდეს ინფორმაცია თუ რა სასწავლო კურსი უნდა განხორციელებულიყო მათ კლინიკაში, გამომდინარე იქიდან თუ რომელი მიმართულების განმახორციელებელი პერსონალი ჰყავდათ პროგრამაზე აღნიშნული კლინიკიდან. სწორედ იმ კლინიკაში, სადაც 1000 სტუდენტის რაოდენობა გაჟღერდა 8 ძირითადი მიმართულების განხორციელება შეუძლიათ: კარდიოლოგია, ზოგადი/კერძო ქირურგია, მეან გინეკოლოგია, ონკოლოგია, გადაუდებელი

მედიცინა (1 და 2), ჰემატოლოგია და ტკივილის მართვა. აღნიშნული სასწავლო კურსები თავისი განმახორციელებელი პერსონალით ჰყავთ კლინიკასთან მიმაგრებული. ესაბამისად, თუ გადაითვლიან, რომ ჯგუფში არის 11 სტუდენტი და 11 სტუდენტს უწევთ მისვლა მეან გინეკოლოგიაზე, შინაგან მედიცინაზე, ქირურგიაზე აღნიშნულ კლინიკაში რამდენჯერმე, აღმოჩნდება, რომ მარტივია იმის გამოთვლა, რომ წლის განმავლობაში შესაძლებელია კლინიკაში მაქსიმუმ 1000 სტუდენტის მიღება. ამასთანავე, როდესაც კლინიკის წარმომადგენლებს აღნიშნული ინფორმაცია გააცნეს, მათ თავისი მხრიდან გაანალიზეს, შეაჯამეს თავისი შესაძლებლობები და ბოლოს მათი დასტურით მოხდა აღნიშნული მემორანდუმის/ხელშეკრულების გაფორმება.

2.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (რეკომენდებულია, რომ კურსი „კლინიკური და პროფესიული უნარები V“ ასწავლონ ექიმებმა) შესახებ, მან განაცხადა, რომ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციის ეჭვი არ დგება, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს ვერ განახორციელებენ, შემუშავების პროცესში სილაბუსში არის ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ ჩანაწერი „კლინიკური აზროვნება“ არ არის სწორად მითითებული სასწავლო კურსის დასახელებაში და რეალურად ამ სასწავლო კურსში იგულისხმება „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“, რომელიც უკვე გასწორებულია, სასწავლო კურსში ლიტერატურაში მოცემულია ანატომია, ფიზიოლოგია, ბიოლოგია, ბიოქიმია და სხვა. შესაბამისად, საბაზისო საგნის ყველა ლექტორს შეუძლია აღნიშნული სასწავლო კურსის განხორციელება. აღნიშნული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი მონაწილეობს ტემპუსის საგრანტო კონკურსის პროგრამაში, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით, პროგრამა კი მოიცავს PBL-ის შესწავლას, დანერგვას, განხორციელებას. იგივე განმახორციელებელი პერსონალი აღნიშნულ სასწავლო კურსს სხვა უნივერსიტეტებშიც ახორციელებენ, შესაბამისად ნამდვილად ტექნიკური ხარვეზი იყო, რაც უკვე გამოსწორებულია.

2.6 კომპონენტში გაცემული პირველი რეკომენდაციის (უნდა შეწყდეს პედაგოგების გამოყენება OSCE-ს შემფასებლებად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიუკერძოებლობა და შეფასების დამოუკიდებლად განხორციელება) შესახებ, პროგრამის თანახელმძღვანელმა განაცხადა, რომ, როდესაც ვიზიტის განმავლობაში დაისვა კითხვა ლექტორების ჩართულობის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იზიარებდნენ რეკომენდაციას და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით სასწავლო კურსში „კლინიკური და პროფესიული უნარები I“ OSCE-ის დასკვნითი გამოცდა უკვე დაიგეგმა ისე, რომ ლექტორი აღარ მონაწილეობს საგამოცდო პროცესში.

უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, სოფიო ხუნდაძემ, კლინიკების გამტარუნარიანობის საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 1000 სტუდენტში არ იგულისხმება მათი ერთდროულად გაგზავნა კლინიკებში, საუბარია სტუდენტების როტაციულად გაგზავნაზე. ასევე, დაისვა კითხვა თუ რა მოხდებოდა და როგორ მოხდებოდა გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა სტუდენტების რაოდენობის მომატების შემთხვევაში, დაწესებულებას უკვე დათვლილი აქვს არა სტუდენტების იმ რაოდენობაზე, რაც უკვე ჰყავთ, არამედ იმ რაოდენობაზე რამდენის მიღებასაც გეგმავს დაწესებულება, საუბარია 100 სტუდენტზე. გამტარუნარიანობის ნაწილში არ იგულისხმება მხოლოდ სივრცეების საკითხი, ასევე უნდა შეფასდეს კლინიკებზე მიმაგრებული პერსონალი, თუ რამდენად შეუძლია პერსონალს რაოდენობიდან გამომდინარე სტუდენტთა რაოდენობის გატარება. სწორედ ამის მიხედვით არის დათვლილი, კლინიკაში არსებული პერსონალისა და პროგრამის საათებიდან გამომდინარე, აჩვენებენ, რომ ნამდვილად შეუძლიათ მინიმუმ 100 სტუდენტს მოემსახუროს ის კლინიკები, სადაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და რომელთა პერსონალი არის დაწესებულების კლინიკური კურსების განმახორციელებელი პერსონალი.

კლინიკურ სასწავლო კურსებისა და თბილისიდან ჩასული პერსონალის შესახებ მან განაცხადა, რომ პერსონალი, რომელიც კლინიკურ სასწავლო კურსებს ახორციელებს და ახორციელებს კლინიკური რესურსის გამოყენებას არის ადგილობრივი კადრი, თბილისიდან ჰყავთ კადრები მხოლოდ საბაზისო სასწავლო კურსების სწავლების შემთხვევაში.

2.6 კომპონენტში გაცემული მეორე რეკომენდაციის (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტთა კლინიკური უნარების განვითარების ეფექტურად შეფასება მთელი პროგრამის განმავლობაში, განსაკუთრებით კი კლინიკურ ფაზაში, სადაც ვითარდება და იხვეწება მრავალი მაღალი დონის უნარი, რეკომენდებულია შესაბამისი კლინიკური პერსონალისთვის ინტენსიური ტრენინგის ჩატარება შეფასებაში) შესახებ, მან განაცხადა, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრის ფარგლებში შემუშავებულ ტრენინგ-მოდულებს შორის ერთ-ერთია „შეფასების თანამედროვე მეთოდები“. ინსტიტუცია სრულად იზიარებს და ეთანხმება ექპერტთა რეკომენდაციას ტრენინგ მოდულების საჭიროებასთან დაკავშირებით და თავადაც გეგმავს პერსონალის გადამზადებას აღნიშნული მიმართულებით. აღნიშნული მზაობა დასტურდება უნივერსიტეტის მიერ შექმნილი პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებით და ამ ეტაპამდე განხორციელებული აქტივობებით. შესაბამისად, მიაჩნიათ, რომ აღნიშნული რეკომენდაცია რჩევითი ხასიათისაა, ვინაიდან ინსტიტუცია თავადაც იზიარებს და გეგმავს პერსონალის მუდმივ გადამზადებასა და ხელშეწყობას. მისი მოსაზრებით მნიშვნელოვანია შეფასდეს თუ რამდენად იაზრებს დაწესებულება ტრენინგების მნიშვნელობას, რამდენად ახორციელებს და რამდენად არის მზად ამისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაცია კი ხაზს უსვამს, რომ დაწესებულება იაზრებს მნიშვნელობას. როდესაც პროგრამა განხორციელების აქტიურ ფაზაში შევა საჭიროებებიდან გამომდინარე შესაძლებელია შემუშავდეს ახალი ტრენინგ მოდულები, მათ შორის ცალკე PBL, CBL და სხვა ტიპის სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით.

2.6 კომპონენტის მესამე (რეკომენდებულია, რომ სკოლამ გადაჭრას OSCE-ს ერთი სტუდენტისთვის ჩატარების პრობლემა და განიხილოს ვარიანტი, რომ ამ სტუდენტს მიეცეს საშუალება ხელახლა ჩააბაროს OSCE სხვა 11 სტუდენტთან ერთად, რომელიც მალე ჩამოვა, მკაცრი არასაზიანო პოლიტიკის შესაბამისად, რათა ამ სტუდენტის შეფასება ვალიდურად ჩაითვალოს მომავალში) და მეოთხე (იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე პირველ ნაკადში სტუდენტების რაოდენობა დაბალია და შესაძლოა „სტანდარტის დაწესების“ აღიარებული მიდგომის ეფექტურობა შეამციროს, საჭიროა გამოირკვეს და დაინერგოს ფსიქომეტრიის სპეციალისტის რჩევები მომავალი OSCE შეფასების განხორციელებამდე) რეკომენდაციების შესახებ, მან განაცხადა, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი პოლიტიკის შესაბამისად ჯგუფში სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა არის 10, რათა განხორციელდეს შეფასება. აღნიშნულ ჩანაწერთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებაში არ მოქმედებს პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც სტუდენტის შეფასება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფში წარმოდგენილია მინიმუმ 10 სტუდენტი. შესაძლოა ჯგუფში სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა ექსპერტებმა დაუკავშირეს შპს ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედ „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიას“. აღნიშნული მეთოდოლოგიური დოკუმენტი მხოლოდ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნებისთვის განსაზღვრავს გონივრული რაოდენობის სტუდენტთა რაოდენობას, რათა მოხდეს ლოგიკური დასკვნების გაკეთება იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად ვალიდურია შეფასების შედეგები და რამდენად იძლევა მიღებული შედეგები პროგრამაში/სასწავლო კურსში გარკვეული ცვლილებების განხორციელების გონივრულ საფუძველს. აღნიშნული მიდგომა არანაირად არ არის დაკავშირებული სტუდენტთა რაოდენობასთან ჯგუფში. იმისათვის, რომ შეფასდეს სტუდენტი კონკრეტულ სასწავლო კურსში და რა თქმა უნდა ჯგუფში ერთი სტუდენტის არსებობის შემთხვევაშიც სტუდენტის შეფასება ხორციელდება სილაბუსით დადგენილი წესების მიხედვით. გარდა ამისა, საგულისხმოა რომ განხორციელებული OSCE-ს გამოცდა ერთ სტუდენტთან ჩატარდა ყველა შესაბამისი წესისა და მოთხოვნის დაცვით. სტუდენტის კომპეტენცია შეფასდა სრულად და ობიექტურად, რის საფუძველზეც სტუდენტმა მიიღო დეტალური შეფასება და უკუკავშირი.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ არ არის რეკომენდაციების გაცემის არანაირი საფუძველი, სტუდენტისთვის განმეორებითი გამოცდის ჩატარების შესახებ სხვა სტუდენტებთან ერთად.
უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, ნინო ტალიაშვილმა, განაცხადა, რომ დასკვნის ნარატივში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მოუწოდებს, რომ სტუდენტმა ხელახლა გაიაროს OSCE-ს გამოცდა, მაშინ, როდესაც შეფასება უკვე განხორციელებულია, სტუდენტს მიენიჭა შესაბამისი კრედიტი, კრედიტების გაანგარიშების წესის მიხედვით. თუ სტუდენტს ენიჭება დადებითი შეფასება ის იღებს შესაბამის კრედიტს. საუბარია სტუდენტის უფლებებზე, რომელმაც გაიარა სასწავლო კურსი, მიიღო კრედიტი და გამოდის, რომ ექსპერტები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ აღნიშნულ შეფასებას იმის გამო, რომ სასურველია რამდენიმე სტუდენტთან ერთად მოხდეს შეფასება, ეუბნებიან, რომ ანულირებულია აღნიშნული შეფასება. დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ სამართლებრივი კუთხით აღნიშნული რეკომენდაცია ვერ იქნება ლეგიტიმური. ამავდროულად, OSCE-ს გამოცდა და შეფასება არ ითვალისწინებს კოლეგიური წესით ან ჯგუფურად სტუდენტების შეფასებას, სტუდენტმა დაიმსახურა შეფასება, მიენიჭა კრედიტი და დაწესებულება სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ვერ დაარღვევს. აქედან გამომდინარე დაწესებულება არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.
მან განაცხადა, რომ პირველ სტანდარტში პერსონალთან დაკავშირებით საუბარი იყო ვიცე-რექტორებსა და პროგრამის ხელმძღვანელებზე, რომლებიც ქუთაისის უნივერსიტეტსა და ევროპის უნივერსიტეტში იკავებენ პოზიციებს, მისთვის უცნაურია, რომ საუკეთესო პრაქტიკაშიც დასახელდა ევროპის უნივერსიტეტიდან საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების შესახებ, ამასთანავე დასახელებულია უარყოფით მხარედ და რეკომენდაციაა გაწერილი, თუ როგორ ახერხებენ ეს ადამიანები ორივე უნივერსიტეტში აღნიშნულ პოზიციებზე მუშაობას. იგივე რეკომენდაცია ავტორიზაციის პროცესშიც წამოიჭრა, თუმცა ავტორიზაციის საბჭომ მოხსნა.
მართვის სტილის შესახებ განაცხადა, რომ მათ აქვთ მაკრო მენეჯმენტი და ვიცე-რექტორები არ არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, რომელიც წარიმართება უშუალოდ ფაკულტეტზე, ფაკულტეტის დეკანი არის ადგილობრივი კადრი, სასწავლო პროცესის მენეჯერები აქტიურად არიან კონტროლსა და ხარისხის შეფასებაში ჩართულნი. დასკვნაში წერია, რომ როგორც კი გაიზრდება სტუდენტთა რაოდენობა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ამ ადამიანების დატვირთვასა და მოცულობას. დიდ უნივერსიტეტებში, სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება არა ვიცე-რექტორების რაოდენობა, არამედ სასაწავლო პროცესის მენეჯერების რაოდენობა, რომლებიც უშუალოდ პროცესის განხორციელებაში არიან ჩართულნი. სწორედ აქედან გამომდინარე ფიქრობს, რომ ეს რეკომენდაცია ვერ დარჩება ძალაში, მითუმეტეს, როდესაც საუკეთესო პრაქტიკად არის მიჩნეული. პროგრამის ხელმძღვანელები დაკავებულნი არიან ევროპის უნივერსიტეტშიც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი უნივერსიტეტია, რეალურად ერთი სისტემის ქვეშ მონაწილეობენ, ერთნაირი პოლიტიკა აქვთ და ა.შ. აქედან გამომდინარე გამართლებულია, რომ პროგრამის ორივე ხელმძღვანელს პოზიცია ეკავოს ორივე უნივერსიტეტში, მითუმეტეს თინათინ გოგნაძე არცერთ სხვა უნივერსიტეტში არ არის დასაქმებული და არც აკადემიურ საქმიანობას არ ახორციელებს, ანუ თავიდან ბოლომდე კონცენტრირებულია ამ ორ უნივერსიტეტზე. ასევე, საუბარი იყო, რომ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, ასევე იყო ქუთაისის უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი, რასაც კანონმდებლობა, მისი თქმით, არ კრძალავს. სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ, განაცხადა, რომ 2018 წლამდე მინისტრის ბრძანებაში, რომელიც არეგულირებს ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტების ჩარიცხვას, არ არსებობდა ჩანაწერი, რომ უნდა ჩატარებულიყო გასაუბრება აბიტურიენტთან და შემდეგ ჩანაწერის მიწოდებოდა სამინისტროს, სავარაუდოდ, მიზანი იყო, რომ დაწესებულებებს არ დაუტოვეს აღნიშნული კომპეტენცია, მინისტრის ბრძანების შემდეგ გამოიცემა რექტორის ბრძანება და აპლიკანტი ირიცხება დაწესებულებაში. დაწესებულებამ

კანონის მოთხოვნების სრული დაცვით ჩარიცხა სტუდენტები, შეუმოწმა ინგლისური ენის ცოდნის დონე და ამის საფუძველზე მოხდა სამინისტროს მიერ მათი ჩარიცხვა, აქედან გამომდინარე რჩება კითხვის ნიშანი, თუ რატომ გადაწყვიტა ექსპერტთა ჯგუფმა, რომ სტუდენტებს არ აქვთ ენის შესაბამისი კვალიფიკაცია.

ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა, განაცხადა, რომ ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციებიდან ერთ-ერთი მათგანი ეხებოდა ადამიანური რესურსის საათობრივ დატვირთვას, კერძოდ, ადმინისტრაციულ პოზიციაზე, ავტორიზაციის საბჭომ მართლაც მოხსნა აღნიშნული რეკომენდაცია, მაგრამ მისთვის ბუნდოვანია აღნიშნული რეკომენდაციის მოხსნის საკითხი. ექსპერტთა ჯგუფი დიდ პატივს სცემს დაწესებულების წარმომადგენელთა გამოცდილებას და მან განმარტა, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში ვიცე-რექტორის ქვედა საფეხურზე არსებობს გარკვეული პოზიციები, სადაც ხდება დავალებების გადანაწილება, აღნიშნული ძალიან სტრუქტურირებულად და კარგად მუშაობს, უბრალოდ ექსპერტთა ჯგუფისთვის, ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესში გაურკვეველია ადმინისტრაციული პოზიცია ორ სხვადასხვა დაწესებულებაში, სრულ განაკვეთზე მომუშავე პიროვნებების ერთდროული დატვირთვა. ხაზგასასმელია პროგრამის ხელმძღვანელის სიტუაცია, რადგან ის ორ უნივერსიტეტშია პროგრამის ხელმძღვანელი სრული დატვირთვით, დამატებით პრაქტიკული მოღვაწეობით, სწორედ ამ საკითხებზე იყო საუბარი, ექსპერტთა ჯგუფს არავის კომპეტენციაში ეჭვი არ შეჰპარვია, მან აღნიშნა, რომ ქუთაისის უნივერსიტეტთან ადრეც ჰქონდა შეხება და შეუძლია დარწმუნებით თქვას, რომ უნივერსიტეტი განიცდის პროგრესს.

„დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ, 2.2 კომპონენტის პირველი რეკომენდაციის (რეკომენდებულია ბიოეთიკის საკითხებისა და კომუნიკაციის უნარების სწავლების გადატანა პროგრამის საწყის ეტაპზე (I-II სასწავლო წლები)) შესახებ, განაცხადა, რომ აღნიშნული ეხება სასწავლო კურსს „კლინიკური და პროფესიული უნარები 2“, რომელიც ისწავლება მეორე სემესტრში, კურსი თავისი შინაარსიდან გამომდინარე, მოიცავს ქირურგიული უნარების შესწავლას და აღნიშნული სასწავლო კურსის შედეგებში არის შემდეგი ჩანაწერი: „სტუდენტი ეფექტურად ამყარებს კომუნიკაციას პაციენტთან და მკურნალობის დროს იყენებს ეთიკურ პრინციპებსა და ანალიტიკურ უნარებს“, მაშინ, როდესაც ეთიკისა და კომუნიკაციის უნარები ისწავლება მეექვსე და მეშვიდე სემესტრში. აღნიშნული სასწავლო კურსი ნამდვილად გულისხმობს კომუნიკაციისა და ეთიკის პრინციპების სწავლებას ქირურგიული მანიპულაციების დროს. შესაბამისად, ხდება შეფასებაც აღნიშნულ სასწავლო კურსში OSCE-ს გამოცდით, თუმცა სტუდენტი გადის სწავლის შედეგზე ამ კონკრეტული სილაბუსის არსებობის შემთხვევაში, ასევე შესაძლებელია ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის გაზიარებაც და ბიოეთიკისა და კომუნიკაციის უნარების საწყის ეტაპზე გადატანა. შესაბამისად, დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.

2.2 კომპონენტის მესამე რეკომენდაციის (რეკომენდებულია კურსების განაწილება ლოგიკური თანმიმდევრობით, კონკრეტულად კი კურსების - პედიატრია I (ისწავლება VII სემესტრში) და პედიატრია II (ისწავლება XII სემესტრში) შეცვლა) შესახებ, მან განაცხადა, რომ სასწავლო კურსში აქვთ ორი პედიატრია, მათი მოსაზრებით აღნიშნული სემესტრული გადანაწილებით არ ექმნება საფრთხე სწავლის შედეგზე გასვლას, თუმცა მიჰყვებიან ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას და შემცირდება მათ შორის არსებული სემესტრების რაოდენობა. აღნიშნული რეკომენდაცია სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევას არ აყენებს ეჭვქვეშ, შესაბამისად ეს უფრო რჩევაა ვიდრე რეკომენდაცია.

2.2 კომპონენტის მეორე რეკომენდაციის (რეკომენდებულია სამედიცინო ინფორმატიკის კურსის დამატება სავალდებულო კურსებში) შესახებ, პროგრამის თანახელმძღვანელმა განაცხადა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლა დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია, შემდეგი სასწავლო კურსებით „სამეცნიერო მსჯელობა I“ და „სამეცნიერო მსჯელობა III“ (სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი), რაც დასტურდება

აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში წარმოდგენილი თემატიკით, მაგალითად: ინფორმაციის მოძიება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ძიების ტექნიკა. იქედან გამომდინარე, რომ ექსპერტების მიერ გაზიარებული შესასწავლი თემატიკა/შინაარსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის ზემოაღნიშნული სასწავლო კურსებით და აკმაყოფილებს შესაბამის დარგობრივ მოთხოვნებს, მიაჩნიათ, რომ ამ ეტაპზე არ იკვეთება სასწავლო კურსის „სამედიცინო ინფორმატიკის“ ცალკე სასწავლო კურსად დამატების საჭიროება.

2.3 კომპონენტის რეკომენდაციასთან (საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების განაწილება კურსში; შესავალი კლინიკურ დიაგნოსტიკაში: I და II არ არის თანმიმდევრული და საჭიროებს გადახედვას) დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ წარმოდგენილია შემდეგი განმარტება: „გადასახედია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების შეფარდება ზოგიერთ სილაბუსებში. ასე მაგალითად: სასწავლო კურსში „კლინიკური დიაგნოსტიკის შესავალი I - ფიზიკური დიაგნოსტიკა“ (V სემესტრი) - ასახულია საკონტაქტო საათების მცირე რაოდენობა (81 სთ) დამოუკიდებელ სამუშაოსთან მიმართებაში (219 სთ), მაშინ როცა სასწავლო კურსი არის ორიენტირებული პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე და მოიცავს სხვადასხვა კლინიკურ აქტივობებს, რომელიც საჭიროებს მეტ პრაქტიკულ/კლინიკურ მეცადინეობებს თეორიულთან შედარებით. იგივე შეიძლება ითქვას სასწავლო კურსზე კლინიკური დიაგნოსტიკის შესავალი II (საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი სამუშაოს შეფარდებაა 96/204)“. მათი განმარტებით, სასწავლო კურსში „კლინიკური დიაგნოსტიკის შესავალი I“ საკონტაქტო საათების, კერძოდ ლექცია/ პრაქტიკული მეცადინეობის საათების თანაფარდობა შემდეგია: 15 სთ/60 სთ., რაც ნიშნავს, რომ სასწავლო კურსის ფარგლებში კვირაში ლექციას ეთმობა ერთი საათი, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობას - 4 საათი. აღნიშნული იძლევა სრულფასოვან შესაძლებლობას სტუდენტმა განახორციელოს სასწავლო კურსით გათვალისწინებული კლინიკური აქტივობები და გამოიმუშაოს ის უნარ-ჩვევები, რომელიც გათვალისწინებულა სასწავლო კურსის შედეგებით/შინაარსით. ასევე საგულისხმოა, რომ დამოუკიდებელი მუშაობისთვის დათმობილი დრო წარმოადგენს გონივრულ ვადას, იმისთვის, რომ სტუდენტმა დამოუკიდებლად იმუშაოს კონკრეტული კომპეტენციების მისაღწევად, მათ შორის საუნივერსიტეტო სიმულაციურ ცენტრში. ასევე საგულისხმოა, ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობების თანაფარდობა სასწავლო კურსისთვის „კლინიკური დიაგნოსტიკის შესავალი II“, სადაც საკონტაქტო საათები ნაწილდება შემდეგი თანაფარდობით: ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობა: ფიზიკური დიაგნოსტიკა – 15/45; კლინიკური უნარები - 0/30. აქაც ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საკონტაქტო საათების დიდი ნაწილი დათმობილია პრაქტიკული მეცადინეობებისთვის სასწავლო კურსის შინაარსის გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ უნივერსიტეტში არსებული სიმულაციური ცენტრი ფუნქციონირებს და ხელმისაწვდომია სამუშაო სივრცეები და მასალები სტუდენტისთვის სამუშაო დღეების შესაბამისად 09:00 საათიდან 18:00 საათამდე. ცენტრს ხელმძღვანელობს პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართულია პროგრამის განხორციელების პროცესში. შესაბამისად, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა დამოუკიდებელი საათების ფარგლებში ცენტრის ხელმძღვანელის ზედამხედველობით ისარგებლონ სიმულაციური ცენტრის რესურსით, რათა ჯეროვნად გამოიმუშაონ შესაბამისი უნარ-ჩვევები.

4.1 კომპონენტში გაცემული მეორე რეკომენდაციის (ლოგისტიკურად რთულია მასწავლებლებისა და მოწვეული პერსონალის დაქირავების გეგმა, რადგან ისინი თბილისში მუშაობენ და სწავლებისთვის რეგულარულად მოუწევთ ქუთაისში მგზავრობა. ეს თავიდანვე სარისკოა, მით უმეტეს სტუდენტების რაოდენობის ზრდის შემთხვევაში. რისკების შეფასება მკაფიოდ განსაზღვრული შემარბილებელი ქმედებებით უნდა ხორციელდებოდეს და ყოველწლიურად განიხილებოდეს მიმდინარე გეგმის ნებისმიერ აუცილებელ ცვლილებასთან ერთად) შესახებ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ სრულად გააზრებულია რეკომენდაციაში დაფიქსირებული საკითხი. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე განისაზღვრა

დაწესებულების მიდგომა და გეგმა, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი პერსონალი სტუდენტებს ასწავლის პრაქტიკულ საგნებს, თბილისიდან მოწვეული პროფესორები კი საბაზისო საგნებს. ვინაიდან საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის კადრის მობილობის არაერთი წარმატებული პრაქტიკა გვხვდება. ვფიქრობთ, რომ ქუთაისის უნივერსიტეტშიც უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვა. თბილისიდან მოწვეულ კადრებთან თავიდანვე განიხილავდნენ, რომ ლექციები უნდა ჩატარებულიყო ქუთაისში და არა დისტანციურად, რის შემდეგაც დათანხმდნენ და მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას, თუმცა ძალიან ბევრმა პროფესორმა აღნიშნულ შეთავაზებაზე დროის უქონლობის გამო უარი განაცხადა.

4.1 კომპონენტში გაცემული მესამე რეკომენდაციის (სტუდენტები დაკავშირებულნი უნდა იყვნენ კლინიკური სწავლების სფეროებთან, სადაც არის საკმარისი რაოდენობის საგნის სპეციალისტი პედაგოგი და ზედამხედველი, რომელსაც შეუძლია ინგლისურად კომუნიკაცია) შესახებ, განაცხადა, რომ გამტარუნარიანობის დოკუმენტის საფუძველზე განმახორციელებელი პერსონალის ის რაოდენობა, რომელიც ამ ეტაპზე ჰყავთ, თუ მიიღებენ 100 სტუდენტს წელიწადში სრულიად საკმარისი იქნება.

მან განაცხადა, რომ კლინიკებში ვიზიტის დროს დახვდათ ადმინისტრაციული და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მისი მოსაზრებით ადმინისტრაციულ პერსონალს არ მოეთხოვება, რომ ისაუბროს ინგლისურ ენაზე, განმახორციელებელი პერსონალი კი ვალდებული იყო და საუბრობდნენ კიდეც, უცხოელი ექსპერტის კითხვაზე ადმინისტრაციული პერსონალიც, რომელთა ვალდებულება არ იყო ინგლისურად საუბარი პასუხობდნენ. ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის შერჩევის წესის მიხედვით, რომლის მიხედვითაც შეირჩა ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შერჩევის მეორე ეტაპი არის საჩვენებელი ლექცია ინგლისურ ენაზე, დონის დაკმაყოფილების შემდეგ ისინი გახდნენ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, რაც მათ პირად დოკუმენტებშიც ვლინდება.

უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, სოფიო ხუნდაძემ, 2.2 კომპონენტის მეოთხე რეკომენდაციის (რეკომენდებულია განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები) შესახებ განაცხადა, რომ არსებობს დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია“, რომელიც ორივე მეთოდსა და მიდგომას განიხილავს, როგორც სწავლის შედეგების პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გზით შეფასებას, ორივე შემთხვევაში გაწერილია სამიზნე ნიშნულები, მაგ., აკადემიური მოსწრების ანალიზის შემთხვევაში საყურადღებო ნიშნულად ითვლება თუ ჯგუფის 10%-ზე მეტმა მიიღო შეფასება A ან F (ჩაიჭრა). ეს მიდგომა არ არის მათი მოგონილი, აღიარებული და პრაქტიკაში გამოცდილია. არაპირდაპირის შემთხვევაში იკვლევენ კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებს, სადაც ასევე განსაზღვრულია სამიზნე ნიშნული, ანუ 30%-ზე ნაკლებმა და 70%-ზე მეტმა უნდა მიიღოს დადებითი შეფასება, აღნიშნული რეკომენდაცია უკვე შესრულებულია და წინააღმდეგობაში მოდის დასკვნის ნაწილთან, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია როგორც საუკეთესო პრაქტიკა.

მესამე სტანდარტის შესახებ მან განაცხადა, რომ დოკუმენტურად გაწერილი აქვთ გასაჩივრების ყველა პროცედურა, მუდმივად ტარდება შეხვედრები სტუდენტებთან, რომლის ორგანიზატორიც ფაკულტეტი ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურია, ცოტახნის წინ ჩატარდა განმეორებითი შეხვედრა ყველა ფაკულტეტის სტუდენტთან და ხაზი გაესვა აღნიშნულ საკითხს.

4.2 კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ DOPS/MinCEx შეფასების მეთოდების შესახებ ტრენინგების საკითხს, ეს არის შეფასების მეთოდები, რომლებიც დაწესებულებას მოცემულ მომენტში არ ევალება რომ ჰქონდეს და, შესაბამისად, არც ტრენინგები ჩაუტარებიათ, თუმცა ტრენინგებთან დაკავშირებით დაწესებულების სერიოზული მიდგომა იკითხება და მას შემდეგ, რაც პროგრამის განვითარების კონკრეტულ ეტაპზე შემოიტანენ მსგავს შეფასებებს, ჩამოყალიბდება შესაბამისი ტრენინგ მოდულიც. აქედან გამომდინარე, აღნიშნული რჩევის ხასიათისაა.

4.1 კომპონენტის მეხუთე რეკომენდაციის (მდგრადი გეგმის მისაღწევად, რომელიც შეესაბამება საკმარისი კვალიფიციური (მათ შორის ინგლისური ენის მცოდნე) პერსონალის დასაქმებას სტუდენტების რაოდენობის დაგეგმილ ზრდასთან ერთად, ქუთაისის უნივერსიტეტმა მეთოდოლოგიის პროცესში, რომელიც მას გააჩნია პერსონალის რაოდენობის გამოსათვლელად, უნდა შეიტანოს ინგლისური ენის ინდიკატორები) შესახებ განაცხადა. რომ დაწესებულებას ნამდვილად აქვს აკადემიური პერსონალის რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია. ძირითადი სასწავლო კურსების მინიმუმ 60%-ს აკადემიური პერსონალი უნდა ახორციელებდეს და ინგლისური ენის შეტანა მათთვის გაუგებარია. შესაბამისად, მისი მოსაზრებით რეკომენდაციის შეუძლებელია შესრულება. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ასივე პროცენტი უნდა აკმაყოფილებდეს ინგლისური ენის ცოდნის დონეს.

პირველ და მეოთხე სტანდარტში გაწერილი რეკომენდაციების შესახებ ვიცე-რექტორმა განაცხადა, რომ კლინიკური სასწავლო კურსების პედაგოგების როლი შემოიფარგლება იმით, რომ კლინიკებში განახორციელონ კლინიკური სასწავლო კურსები. ადმინისტრირების როლთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გარკვეულწილად ზედამხედველების როლია. მოცემულ მომენტში დაწესებულებას არ ჰყავს კონკრეტული პირები ზედამხედველებად, რადგან დაწესებულებას ამის საჭიროება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი ჰყავს დაწესებულებას მიმდინარე პროგრამაზე.

უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, სოფიო ხუნდაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰყავს 11 სტუდენტი, თუმცა არ ხორციელდებოდა მათი სასწავლო კურსები კლინიკაში, მემორანდუმში გაწერილია, რომ კლინიკის მხრიდან, მას შემდეგ რაც ეს ვალდებულება გაჩნდება, მან უნდა გამოყოს ასეთი ინგლისური ენის მცოდნე პირი.

მეხუთე სტანდარტის შესახებ, მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფიც ადასტურებდა კომიტეტის, მმართველი ჯგუფის შეკრებას და მათი მხრიდან პროცესებში ჩართულობას, არსებობს ოქმებიც, თუმცა მთელი წლის შეხვედრების წინასწარ გაწერა შეუძლებელია.

ექსპერტმა, ირინე ფხაკაძემ, განაცხადა, რომ სხდომის განმავლობაში რამდენჯერმე დაისვა საკითხი რეკომენდაციების გაწერის მიზეზების შესახებ, რამაც შესაძლებელია შექმნას არაკვალიფიციური ექსპერტის შთაბეჭდილება. მისი თქმით ნებისმიერი შეფასება, რომელიც გაწერილია დასკვნაში, რეკომენდაციები გაწერილ იქნა რეალური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, მათ შეხვდათ სტუდენტი, რომელსაც უჭირდა კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე. ასევე განმახორციელებელი პერსონალი, რომელმაც უცხოელ ექსპერტს უთხრა, რომ მას მხოლოდ რუსულად და გერმანულად შეეძლო საუბარი. მან განმარტა, რომ ევროპის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა შეფასდა საუკეთესო პრაქტიკად, რადგან მათი გამოცდილება იქნება გაზიარებული და არ იგულისმება, რომ მოხდება პერსონალის გაზრდა. აქ არ იყო საუბარი სუბიექტურ დამოკიდებულებებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ მას ეჭვი არ ეპარებოდა ექსპერტთა ჯგუფის ობიექტურობაში.

უნივერსიტეტის რექტორმა, გოჩა თუთბერიძემაც, დაადასტურა, რომ დაწესებულება არ თვლიდა ექსპერტებს სუბიექტურად, ეს იყო დისკუსია, სხვადასხვა წარმოდგენილი ხედვა, დაწესებულებას ჰქონდა თავისი პოზიცია თითოეულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელთა ნაწილს იზიარებს დაწესებულება, დიდი ნაწილი უკვე შესრულებულია, თუმცა დაწესებულება არ დაეთანხმა სტანდარტების შეფასებას.

„დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ, PBL ქეისების ბანკის არსებობის შესახებ განაცხადა, რომ პროგრამას აქვს ქეისების ბანკი, თუმცა ვიზიტის განმავლობაში არ დასმულა აღნიშნული საკითხი, რადგან დაწესებულება აუცილებლად გაუზიარებდა. OSCE-ს გამოცდის შესახებ კი აღნიშნა, რომ მოცემული გამოცდა ჩატარდა ყველა სტანდარტის დაცვით,

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთ სტუდენტზე ჩატარდა, ლექტორი და განმახორციელებელი პერსონალი ერთად ღებულობდნენ მონაწილეობას Check list-ების შექმნაში, რომლის ბანკიც, ასევე, არსებობს კონკრეტული სასწავლო კურსების მიმართულებით. ექსპერტი, ჯილდა ჭეიშვილი, გამოეხმაურა რექტორის მოსაზრებას, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა პროგრამისთვის გაცემული პირობითი აკრედიტაციის საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17:53
დასრულების დრო: 18:44

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.1 და 1.2 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რის საფუძველზე პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.1 და 2.3 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია სტანდარტებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 2.4 და 2.6 კომპონენტები ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ რის საფუძველზე მეორე სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 3.1 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია სტანდარტებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რის საფუძველზე მესამე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 4.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია სტანდარტებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 4.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტების ცვლილებას არ გამოუწვევია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება. 5.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტების ცვლილებას არ გამოუწვევია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 27
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია ბიოეთიკის საკითხებისა და კომუნიკაციის უნარების სწავლების გადატანა პროგრამის საწყის ეტაპზე (I-II სასწავლო წლები).

2. რეკომენდებულია სამედიცინო ინფორმატიკის კურსის დამატება სავალდებულო კურსებში.
3. რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს არსებული გეგმები დიდი რაოდენობით სტუდენტების საავადმყოფოებში განთავსების შესახებ, რათა გათვალისწინებული იქნეს როგორც საავადმყოფოს ფიზიკური ტევადობა სტუდენტების რაოდენობის დასაკმაყოფილებლად, ასევე კლინიკური პერსონალის შესაძლებლობები – ასწავლონ სტუდენტებს სპეციალურ, აუდიტორიის ტიპის სივრცეებში, გადატვირთული კლინიკური ადგილებიდან მოშორებით.
4. რეკომენდებულია PBL და CBL მეთოდოლოგიაში უფრო მეტი ტრენინგი, რათა ყველა ლექტორმა გაიგოს არა მხოლოდ პედაგოგიკა, რომელსაც ემყარება მეთოდი, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა მოახდინოს პედაგოგმა მისი გამოყენება.
5. უნდა შეწყდეს პედაგოგების გამოყენება OSCE-ს შემფასებლებად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიუკერძოებლობა და შეფასების დამოუკიდებლად განხორციელება.
6. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტთა კლინიკური უნარების განვითარების ეფექტურად შეფასება მთელი პროგრამის განმავლობაში, განსაკუთრებით კი კლინიკურ ფაზაში, სადაც ვითარდება და იხვეწება მრავალი მაღალი დონის უნარი, რეკომენდებულია შესაბამისი კლინიკური პერსონალისთვის ინტენსიური ტრენინგის ჩატარება შეფასებაში.
7. საჭიროა სამუშაო პროგრამა პერსონალის განვითარების ცხრილის შექმნასთან ერთად, რათა უზრუნველყოფილი იყოს კლინიკური სწავლების სტანდარტებისა და შეფასებების თანმიმდევრულობა, რომელსაც ახორციელებს მთელი პერსონალი, მათ შორის ის თანამშრომლებიც, რომლებიც სამუშაოს ასრულებენ კლინიკურ გარემოში.
8. სტუდენტები დაკავშირებულნი უნდა იყვნენ კლინიკური სწავლების სფეროებთან, სადაც არის საკმარისი რაოდენობის საგნის სპეციალისტი პედაგოგი და ზედამხედველი, რომელსაც შეუძლია ინგლისურად კომუნიკაცია.
9. მდგრადი გეგმის მისაღწევად, რომელიც შეესაბამება საკმარისი კვალიფიციური (მათ შორის ინგლისური ენის მცოდნე) პერსონალის დასაქმებას სტუდენტების რაოდენობის დაგეგმილ ზრდასთან ერთად, ქუთაისის უნივერსიტეტმა მეთოდოლოგიის პროცესში, რომელიც მას გააჩნია პერსონალის რაოდენობის გამოსათვლელად, უნდა შეიტანოს ინგლისური ენის ინდიკატორები.
10. რეკომენდირებულია წარმოდგენილ იქნას პროგრამის ბიუჯეტი პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

• რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. დაინტერესებულმა მხარეებმა მეტი უნდა იცოდნენ ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის წვლილის შესახებ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
2. სასურველია პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.
3. სასურველია მისაღები გამოცდების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა ინგლისური ენის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე სტუდენტების შესარჩევად.
4. სასურველია კურსების განაწილება ლოგიკური თანმიმდევრობით, კონკრეტულად კი კურსების - პედიატრია I (ისწავლება VII სემესტრში) და პედიატრია II (ისწავლება XII სემესტრში) შეცვლა.
5. სტუდენტებისთვის სასარგებლო იქნება სასწავლო გეგმისა და ვერტიკალური ინტეგრაციის გაზრდის მიზნით მისი სტრუქტურის შესახებ მეტის გაგება.

6. სასურველია სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის აქტუალური პრობლემები და გაიზარდოს საათები სასწავლო კურსებში (მაგ. ეპიდემიოლოგიაში).
7. ყველა კლინიკურ საგანში, კლინიკების მიერ სათანადო რაოდენობის პაციენტებზე წვდომა შესაძლოა შეიცვალოს სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან და ინტეგრირებული კურიკულუმის შემდგომ განვითარებასთან ერთად, და სასურველია ქუთაისის უნივერსიტეტმა ყურადღებით განიხილოს ეს საკითხი.
8. სასურველია განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები.
9. საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების განაწილება კურსში; შესავალი კლინიკურ დიაგნოსტიკაში: I და II არ არის თანმიმდევრული და საჭიროებს გადახედვას.
10. მიზანშეწონილია, რომ კურსი „კლინიკური და პროფესიული უნარები V“ ასწავლონ ექიმებმა.
11. შესანიშნავი იდეაა, დაინერგოს სტუდენტური პორტფოლიო, როგორც სტუდენტის სასწავლო გამოცდილების ჩასაწერად, ასევე რეფლექსიური პრაქტიკის კუთხით. თუმცა მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ზუსტად იყოს გარკვეული პორტფოლიოს მიზანი და მისი არსი, ისევე როგორც სათანადო ბალანსი მის სასწავლო ინსტრუმენტად და/ან შეფასების ინსტრუმენტად გამოყენებას შორის. დასაწყისისთვის, რეკომენდებულია პორტფოლიოების დანერგვის პედაგოგიური საფუძვლის და მათზე არსებული გამოცდილების აღწერის ლიტერატურის შესწავლა.
12. შემთხვევების ბანკის შექმნა PBL/CBL-სთვის კარგი ინვესტიცია იქნება სამომავლო მდგრადობისთვის, რადგან ის გაზრდის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი შემთხვევების მასშტაბს, მოცულობასა და ხარისხს.
13. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე პირველ ნაკადში სტუდენტების რაოდენობა დაბალია და შესაძლოა ‘სტანდარტის დაწესების’ აღიარებული მიდგომის ეფექტურობა შეამციროს, საჭიროა გამოირკვეს და დაინერგოს ფსიქომეტრიის სპეციალისტის რჩევები მომავალი OSCE შეფასების განხორციელებამდე.
14. იმ რთული და საწყისიდან გამომდინარე, რაც ყველა პირველ კურსელ სტუდენტს ჰქონდა სწავლის დაწყებისას, სკოლამ უნდა განიხილოს დამატებითი აკადემიური და პასტორალური მხარდაჭერის შეთავაზება დამატებითი საჭიროებებისთვის. ეს უნდა მოიცავდეს მათი სასწავლო პროგრამების კოორდინაციას, რათა ინტეგრირდეს კამპუსში მყოფი სტუდენტი და ისინიც, ვისზეც გვითხრეს, რომ ძალიან მალე ჩამოვლენ.
15. თუ ვერ შესრულდა გეგმა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ამჟამად ონლაინ რეჟიმში სწავლობენ და ჩამოსვლას აპირებენ მარტის ბოლოს/აპრილის დასაწყისში, მაშინ სკოლამ უნდა განიხილოს პროგრამაში არსებული მობილობის ვარიანტების გამოყენება, რათა ერთად ერთ სტუდენტს შესთავაზოს სხვა დაწესებულების სტუდენტებთან ერთად კამპუსში სწავლის შესაძლებლობა.
16. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების რაოდენობა ძალიან მცირეა და დიდი ხანი არაა, რაც ისინი პროგრამაზე ჩაირიცხნენ, პროგრამის ზოგიერთი ელემენტის შესახებ გარკვეული გაუგებრობა არსებობდა. კერძოდ, როგორც ჩანს, შეფასების პროცესის გასაჩივრების სისტემაზე შეზღუდული გაგება არსებობდა, რაც ამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე უნდა განიხილებოდეს, როგორც მთლიანი არსებული საკომუნიკაციო სტრატეგიის ნაწილი.
17. სტუდენტების რაოდენობისა და მასშტაბის მატებასთან და შესაბამისად, ჩართული კლინიკური პედაგოგების რიცხვის ზრდასთან ერთად, სასურველია, რომ სწავლების თანამედროვე მიდგომებში მიმდინარე ტრენინგის განხორციელება და წარმატება შეფასდეს თვითშეფასების/რეგულარული საჭიროებების შეფასებების პროცესის მეშვეობით.
18. პედაგოგების და ზედამხედველების როლი და ფუნქციები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და გაზიარებული შესაბამის პერსონალთან, რათა მათ შეძლონ მათთვის

განსაზღვრული ფუნქციის შესრულება - დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის უნარებისა და კომპეტენციების მიღწევაში.

19. იმისათვის, რომ მთელმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა გაიზიაროს სწავლების სტანდარტების დაცვა, რაც საჭიროა პროგრამის წარმატებით წარმართვისთვის, შეიძლება სწავლების კოლეგიალური განხილვის სისტემის შემოღებაც.
20. იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტების სწავლების ენა არის ინგლისური, უნდა მოხდეს პედაგოგებისა და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების შესაძლებლობის განხილვა, პერსონალის ყველა ტრენინგის ინგლისურ ენაზე ჩატარების გზით.
21. მისასალმებელია ქუთაისში კვლევითი დაწესებულების შექმნის განზრახვა, რომელშიც ჩართულნი იქნებიან პერსონალი და სტუდენტები. თუმცა იმ საგნების სფეროების ყურადღებით განხილვამ, რომლებიც, სავარაუდოდ, სწრაფად განვითარდება, შეიძლება ,,გზა გაჭრას" და ამით წაახალისოს მთელი პერსონალის აქტიური მონაწილეობა კვლევის განვითარებაში.
22. უნივერსიტეტში არსებული ობიექტები ამჟამად საკმარისია სტუდენტების მცირე რაოდენობისთვის, თუმცა ინფრასტრუქტურის გაფართოება და განვითარების დაგეგმვა უნდა მოხდეს სტუდენტების მზარდ რაოდენობასთან (წლიური მიღება - 100) გასამკლავებლად.
23. გარდა სტანდარტ 2.5-ში პორტფოლიოს შემოთავაზებისა, მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ჩართული იყოს პორტფოლიოს განვითარების დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე, რათა უზრუნველყოს პორტფოლიოს ფარგლებში შეგროვებული მონაცემების ხელმისაწვდომობა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მონიტორინგსა და გაუმჯობესებას.
24. ურთიერთობები, რომლებიც ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს კოლეგებთან სხვა ქართულ სამედიცინო სკოლებში და განსაკუთრებით ევროპის უნივერისიტეტში, შეიძლება იქნეს გამოყენებული პროგრამის განვითარებისა და განხორციელების რჩევების მისაღებად. ზოგიერთი უფროსი კოლეგის მოწვევა პროგრამის „გარე შემფასებლად“ შესაძლებელს გახდის რეგულარულ ზედამხედველობას და გაუმჯობესების მიზნით იმ ადამიანებისგან რჩევების მიღებას, რომლებიც მსგავს კონტექსტსა და გარემოში მუშაობენ
25. მმართველი ორგანო და პროგრამის კომიტეტი ჩართულია ყველა ინსტიტუციური და პროგრამული მოთხოვნის შესრულებაში და სტანდარტების მიღწევაში. ამჟამად ეს ჯგუფები იკრიბებიან საჭიროებისამებრ (საკმაოდ ხშირად), თუმცა შეხვედრების უფრო ოფიციალური განრიგი (წლიური კალენდარი) და თანმიმდევრული ანგარიშგების სისტემები აუცილებელია პროგრამის ეფექტური ხელმძღვანელობისა და ადრეული ჩარევის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

გადაწყვეტილება:

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის მე - 2, მე - 5 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენისა და 2 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოს წევრებმა ასევე კენჭი უყარეს დაწესებულებების შუამდგომლობას მიღებული გადაწყვეტილებების მიმდინარე სხდომაზე, 2022 წლის 26 აპრილიდან ძალაში შესვლის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 27
წინააღმდეგი - 0

საბჭოს სხდომა დატოვეს თამარ ზარანდიამ, დავით ჩოჩიშვილმა და ირინა გვლესიანმა

6. მეექვსე საკითხი: „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 5 აპრილის №353078 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგები აკრედიტაციის საბჭომ განიხილა 2022 წლის 22 მარტს. საბჭომ 2022 წლის 05 აპრილის N353078 გადაწყვეტილებით მიიღო გადაწყვეტილება შეეწყვიტა „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 05 აპრილის N353078 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების შემდგომ, გადაწყვეტილების სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ“. შესაბამისად მიზანშეწონილი იქნება 2022 წლის 05 აპრილის N353078 გადაწყვეტილებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

7. მეშვიდე საკითხი: „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 5 აპრილის №353079 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგები აკრედიტაციის საბჭომ განიხილა 2022 წლის 22 მარტს. საბჭომ 2022 წლის 05 აპრილის N353079 გადაწყვეტილებით მიიღო გადაწყვეტილება შეეწყვიტა „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 05 აპრილის N353079 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების შემდგომ, გადაწყვეტილების სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ“. შესაბამისად მიზანშეწონილი იქნება 2022 წლის 05 აპრილის N353079 გადაწყვეტილებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 18:55
დასრულების დრო: 19:02

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 5 აპრილის №353078 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 5 აპრილის №353078 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ხასიათის ცვლილება:

1. გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ“

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 5 აპრილის №353079 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 5 აპრილის №353079 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ხასიათის ცვლილებები:

1. გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ“.

8. მერვე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ციფრული მედიისა და ინოვაციების" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მედია და ინოვაციები/Digital Media and Innovations
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჟურნალისტიკის მაგისტრი/Master of journalism
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა - 0321

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. № 8, თსუ VI კორპუსი, 0179, თბილისი, საქართველო ნინოშვილის ქ. 35, I კორპუსი, 6010, ბათუმი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს - თამარ სირაძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო დანელიამ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დადებითად უყურებს აღნიშნულ პროგრამას, რადგან ეს არის დროული/საჭირო, განსაკუთრებით აჭარის რეგიონში, რაც დაადასტურა ბაზრის კვლევამაც. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა 9 რეკომენდაცია, ერთი მათგანი, რომელიც ეხებოდა ბიუჯეტს გაიზიარა დაწესებულებამ, ერთი კი ნაწილობრივ გაიზიარა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, რომ ორივე უსდ-მ შეიმუშაოს შიდასაუნივერსიტეტო სამაგისტრო მიღების წესის შესაბამისი დოკუმენტაცია, წერილობითი ტექსტის ან ზეპირი ინტერვიუსთვის;

2. რეკომენდებულია, რომ მოხდეს პროგრამის მეორე მიზნის შესაბამისი შედეგების გაძლიერება და გამოკვეთა, რაც გულისხმობს, ჟურნალისტის/ჟურნალისტიკის როლის მნიშვნელობის გააზრებას დემოკრატიის განვითარებაში. უფრო ნათლად უნდა გამოიკვეთოს ციფრულ მედიაში ჟურნალისტის/ჟურნალისტიკის თვისებები, მისია და ჟურნალისტის მიერ ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების დინამიკა;
3. რეკომენდებულია, რომ ერთობლივი პროგრამის ფარგლებში მოხდეს აკუმულირებული ცოდნის გაზიარება და გაცვლა ნაცვლად პარალელური პროცესების წარმოებისა: შეიქმნას ისეთი მოქნილი სტრუქტურა, რომლის საშუალებითაც ერთობლივი პროგრამის სტუდენტს ექნება პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, ყველა პარტნიორ დაწესებულებაში სწავლის ვალდებულება სხვადასხვა კომპონენტებზე. მაგალითად პირველ სემესტრს გაივლის თსუ-ში, მეორეს - ბსუ-ში და ა. შ.;
4. რეკომენდირებულია ორ არჩევითი კურსი - „კიბერკულტურა და ჟურნალიზმი“ და „მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია“ გადავიდეს სავალდებულო საგნების ნაწილში, რათა პროგრამის სწავლის შედეგი იყოს მიღწევადი;
5. რეკომენდებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა განიხილონ კიბერ უსაფრთხოების ცალკე საგნად სწავლება ან თემის ჯეროვნად ინკორპორირება შესაბამის სასწავლო კურსებში;
6. რეკომენდირებულია ორ არჩევითი კურსი - „კიბერკულტურა და ჟურნალიზმი“ და „მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია“ გადავიდეს სავალდებულო საგნების ნაწილში, რათა პრაქტიკული/საშემსრულებლო უნარების განვითარება იყოს რეალურად მიღწევადი;
7. რეკომენდებულია, რომ სწავლების დაწყებამდე, პროგრამის ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ შეამოწმონ სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა და შეავსონ ყველა შესაძლო დანაკლისი;
8. რეკომენდებულია, რომ სწავლების დაწყებამდე პროგრამის ხელმძღვანელებმა გააკონტროლონ დაგეგმილი შესყიდვების დროული განხორციელება, რათა სტუდენტს ქონდეს კურსით გათვალისწინებულ მასალაზე დაუბრკოლებლად წვდომა და შეძლოს დაგეგმილი სასწავლო შედეგის მიღება;
9. რეკომენდებულია, რომ ახალ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას ჰქონდეს ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტი და წინასწარ იყოს განსაზღვრული ბიუჯეტის ძირითადი კომპონენტები, მაგ: სავარაუდო/მოსალოდნელიხარჯები და შემოსავლები, რათა თავიდან იქნას აცილებული პროგრამის განხორციელებისას წარმოშობილი შესაძლო ფინანსური სირთულეები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადებითად შეფასდა, მათ ჩაატარეს არა მხოლოდ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, არამედ გაესაუბრნენ სტუდენტებსაც და დისტანციურად დაათვალიერეს ორივე უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის მიზნებს. მისი მოსაზრებით მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელება, რადგან ის შედეგი, რომელიც შესაძლებელია დადგეს, რომ პროგრამამ გამოუშვას შესაბამისი უნარების მქონე სტუდენტები, გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებლად დაეტყობა მედია გარემოს, რის საფუძველსაც იძლევა არა მხოლოდ პროგრამის კურიკულუმი და აკადემიური პერსონალი, არამედ დიდი ყურადღება დაიმსახურა აჭარის რეგიონიდან მოწვეულმა პერსონალმა, მათ გააძლიერეს პროგრამა და ძალიან ბევრი დადებითი საკითხი შეიტანეს მასში.
საბჭოს თავმჯდომარე, მეშვიდე რეკომენდაციის (რეკომენდებულია, რომ სწავლების დაწყებამდე, პროგრამის ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ შეამოწმონ სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა და შეავსონ ყველა შესაძლო დანაკლისი) შესახებ დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფი, დაიწერა თუ არა აღნიშნული რეკომენდაცია თანამშრომლობის ხარისხის გამო. მან ასევე აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით მეოთხე (რეკომენდირებულია ორ არჩევითი კურსი - „კიბერკულტურა და ჟურნალიზმი“ და „მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია“ გადავიდეს სავალდებულო საგნების ნაწილში, რათა პროგრამის სწავლის შედეგი იყოს მიღწევადი) და მეექვსე (რეკომენდირებულია ორ არჩევითი კურსი - „კიბერკულტურა და ჟურნალიზმი“ და „მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია“ გადავიდეს

სავალდებულო საგნების ნაწილში, რათა პრაქტიკული/საშემსრულებლო უნარების განვითარება იყოს რეალურად მიღწევადი) რეკომენდაციები თითქოს ფარავდა ერთმანეთს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას გამოიკვეთა დანაკლისი სახელმძღვანელოებთან მიმართებით, რაზეც უნივერსიტეტის/ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა განუმარტეს, რომ აღნიშნულ დანაკლისს შეავსებდნენ აკრედიტაციის გავლის შემდეგ. ამავე დროს სახელმძღვანელოების ნაწილი შესყიდულია და წარმოდგენილი იყო ინვოისი, რომელიც საშუალებას აძლევდა უნივერსიტეტებს ბიბლიოთეკაში განეთავსებინათ წიგნები. სტანდარტის მოთხოვნა არის, რომ მატერიალურ ტექნიკური ბაზა იყოს სრულყოფილი, სწავლის დაწყებამდე. შესაბამისად, ჩათვალეს, რომ საჭირო იყო მიეთითებინათ პროგრამის ხელმძღვანელებისთვის სწავლის დაწყებამდე კიდევ ერთხელ შეემოწმებინათ მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და ბიბლიოთეკები, რათა სწავლა არ დაწყებულიყო ხარვეზით და არ ყოფილიყო მასალა, რომელიც არ იქნებოდა ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკაში. იგი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ მეოთხე და მეექვსე რეკომენდაცია იმეორებდა ერთმანეთს, თუმცა ერთი ეხებოდა მიზნის მიღწევის სტანდარტს, ხოლო მეორე კი უნარ-ჩვევების განვითარებას.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ ერთობლივი პროგრამა იშვიათი და მისასალმებელია. იგი დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფი 4.3 კომპონენტის მეორე რეკომენდაციაში, რადგან აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციებში საუბარია მასალების შესყიდვასა და ლიტერატურის შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, ლიტერატურის ნაწილი არ არის შესყიდული და უნდა მოხდეს დაწესებულების მიერ მათი შესყიდვა, მეორე ნაწილი კი შესყიდულია და საუბარია, რომ არ იყოს შეფერხება შესყიდული წიგნების ბაზებში ასახვასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად ერთიდაიგივე საკითხს ეხება გაცემული რეკომენდაციები, თუმცა საუბარია სხვადასხვა ტიპის ლიტერატურაზე.
საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, „კიბერუსაფრთხოების“ შესახებ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფი გულისხმობდა თემატიკას თუ უშუალოდ საგნის შემოღებას, რადგან კურსდამთავრებულს ხარისხი ჟურნალისტიკაში ენიჭება. სევე, დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო თუ არა „ინოვაციური ტექნოლოგიები მედია მენეჯმენტში და თვითმართვა“ - დისციპლინის სილაბუსს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული აღნიშნულ დისციპლინას ცალკე საგნად გაწერენ პროგრამაში, თუ ეს იქნება კლასტერული უნარი, მათი პროფესიონალიზმის საქმეა. რადგან პროგრამა ეხება ინოვაციებს, მნიშვნელოვანია ონლაინ კომპონენტი, კიბერუსაფრთხოება კი მედიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი/პრიორიტეტული საკითხია, კიბერშეტევების ნაწილსა და უსაფრთხოების ნაწილში, პერსონალური კომპიუტერი, მასალა, მონაცემები, ინტერვიუები, როგორ უნდა დაიცვან საკუთარი E-mail და სხვ. მეორე ნაწილი ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა მედია-წიგნიერება, რომელიც თავისთავად მოიცავს ციფრულ უსაფრთხოებას, აღნიშნული საგნები იძლევა იმის საშუალებას, რომ თემატურად დაემატოს ინფორმაცია, რადგან ზოგჯერ ერთი ლექცია ფარავს მოცემულ საკითხს და კარგი იქნება თუ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იფიქრებს აღნიშნულ საკითხზე. კონკრეტული სილაბუსის შესახებ კი მან განმარტა, რომ მას დაწვრილებით არ ახსოვდა სილაბუსების სახელწოდებები, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყო მათი მოძიება ან პროგრამის ხელმძღვანელებისგან გამოთხოვა.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, განაცხადა, რომ პროგრამის სახელწოდება არის „ციფრული მედია და ინოვაციები“, კლასიფიკატორით კი გადის ჟურნალისტიკასა და რეპორტიორობაზე (0321). იგი დაინტერესდა ინოვაციების შესახებ, რომელიც შესაძლებელია გაბნეული იყო სხვადასხვა კურსში, თუმცა სთხოვა დაეზუსტებინათ კონკრეტულად თუ სად ინტეგრირდებოდა პროგრამაში. ასევე, მან სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ 2.1 კომპონენტში გაწერილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სამაგისტრო საფეხურზე მიღების წესის შესაბამისი დოკუმენტაციის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამის სათაური შეესაბამება კურიკულუმს და ნამდვილად არის ჟურნალისტიკის თემატიკა, თანამედროვე ეპოქაში უფრო მეტი და მეტი მედია მიმართავს ონლაინ კომუნიკაციას და სწორედ ციფრული ჟურნალისტიკა არის ერთ-ერთი წამყვანი დარგი ამ სფეროში, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც. სულ უფრო და უფრო მზარდია ინტერესი ციფრული მედიის მიმართ და მცირდება ინტერესი სამაუწყებლო მედიის მიმართ. კურიკულუმში არის ინოვაციების თემა და გარდა იმისა, რომ გაბნეულია სხვადასხვა სილაბუსში და ისწავლება ცალკეული კომპონენტები, ასევე, ისწავლება, მაგ., „პოდკასტები“, რომელიც ნამდვილად ინოვაციურია, რადგან სრულიად ახლებური ტექნოლოგიაა და არც ისე განვითარებულია საქართველოში, თუმცა არსებობს რამდენიმე კარგი პოდკასტი და ძალიან კარგი იქნება აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებს რომ ჰქონდეთ ამის უნარი, რადგან ბაზარზე დიდი მოთხოვნაა; არსებობს ამბის თხრობის ტექნიკები, რომლებიც ისწავლება რამდენიმე კურსის ფარგლებში, თუმცა არ ხდება გადაფარვა და ვიზუალიზაცია, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი კურსია, მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ტენდენციაა, რადგან მცირდება მიღების დრო ტექსტური ინფორმაციის მიმართ და იზრდება აუდიო-ვიზუალური კომპონენტები. ადამიანებს კი ვისაც ცოტა დრო აქვს, სურთ რომ სწრაფად გაიგონ უფრო მნიშვნელოვანი ამბები. როდესაც აქვთ ინფორმაციის დიდი ნაკადი, სჭირდებათ აუდიტორიის ყურადღების სწრაფად მიპყრობა მნიშვნელოვანზე, სკანდალურ თუ ყვითელ ინფორმაციებზე, აღნიშნული უშუალოდ დაკავშირებულია ჟურნალისტიკასთან და ძალიან კარგად არის წარმოდგენილი მთლიან კურიკულუმში. რაც მთავარია, ასწავლიან ადამიანები, რომლებიც ინოვატორები არიან აღნიშნულ სფეროებში. რაც შეეხება ერთობლივი დოკუმენტაციის არსებობას, მისი მოსაზრებით, შესაძლებელია პასუხის ფორმირება სხვანაირი ყოფილიყო, მაგრამ, საბოლოო გადაწყვეტილება დაწესებულების წარმომადგენლების მიერ უნდა მიღებულიყო, დაწესებულებას უკვე გაცემული აქვს პასუხი იმასთან დაკავშირებით, რომ, როდესაც პროგრამა გაივლის აკრედიტაციას შეიქმნება ერთობლივი კომისია, რომელიც შეიმუშავებს აღნიშნულს. ექსპერტთა ჯგუფს გაუჭირდა იმის გაგება, თუ რატომ არ შეიძლებოდა აღნიშნული პრობლემის მოგვარება მიმდინარე ეტაპზე. კითხვები გაჩნდა მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მოსაზრებები არ იყო თანხვედრაში.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ, განაცხადა, რომ მან ნახა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც რეცენზენტის შეფასება არის მაქს. 40 ქულა, კომისიის - 60 ქულა, ნაშრომის დაცვაზე დაიშვება მაგისტრანტი თუ მას რეცენზენტებთან მინიმალური 21 ქულიანი ზღვარი ექნება გადალახული და კომისიის ზღვარი იქნება 30 ქულა, ანუ მინიმალური 51 ქულა, რომელიც გამოდის რეცენზენტისა და კომისიის შეფასების შეჯამით, სთხოვა დაეზუსტებინათ ხომ არ მოდიოდა წინააღმდეგობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-თან, სადაც საუბარია ნაშრომის ერთჯერად შეფასებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ვლადიმერ ღლონტის განცხადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ში საუბარია, რომ ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთიანად ინსტიტუციის მიერ გათვალისწინებული სუბიექტების შეფასებების გათვალისწინებით, შესაბამისად ერთიანად ფასდება 100 ქულით, მაგრამ არაგანმავითარებელი შეფასებით მონაწილეობს რეცენზენტი, რომელიც წილობრივად იღებს მონაწილეობას საერთო 100 ქულაში, ამაზე ჰქონდათ კონსულტაციები იურისტებთან ჩანაწერის სწორად აღსაქმელად და მივიდნენ ასეთ მოდელზე, რომელიც მათი მოსაზრებით, არ არის წინააღმდეგობაში კანონთან, სადაც ჩანაწერი არის შემდეგნაირი - „აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, დისერტაცია ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომი უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი

შეფასებით, რომელიც მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას“, სწორედ ამ ჩანაწერიდან გამომდინარე დაწესებულება ლოგიკურად მივიდა დასკვნამდე, რომ 100 ქულა გაყოფილიყო რეცენზენტსა და კომისიას შორის.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ არის რეცენზენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაში.
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რეცენზენტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაში არ შედის.
ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფსაც ჰქონდა აღნიშნული კითხვა, თუმცა იმავე განმარტების საფუძველზე აღარ ჩათვალეს ყურადღების გამახვილება მიზანშეწონილად. ასევე, განაცხადა, რომ წარდგენილი იყო ყველა სილაბუსი, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, განმარტა, რომ ზემოაღნიშნული სილაბუსის ნახვა ვერ მოახერხა, თუმცა დაინტერესდა სილაბუსის სახელწოდებიდან გამომდინარე. ასევე, ნახსენები იყო პოდკასტები, თუმცა მისი მოსაზრებით თვითონ ამ სილაბუსის სახელწოდება უნდა გულისხმობდეს რაიმე ტიპის პროგრამის შესწავლას, რომელიც დაეხმარება სტუდენტს პოდკასტების წარმოებაში, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურა ძალიან საინტერესოა, არცერთი პროგრამული უზრუნველყოფა ნახსენები არ არის.
„ციფრული მედიისა და ინოვაციების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია კუპრაშვილმა, განაცხადა, რომ „ინოვაციური ტექნოლოგიები მედიამენეჯმენეჯმენტში და თვითმართვა“ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სილაბუსია. ძირითად ნაწილში ყურადღება გამახვილებულია თვითმართვაზე, ანუ როგორ უნდა მართოს ჟურნალისტმა თავისი უსაფრთხოება, როდესაც დაწესებულებების წარმომადგენლები მსჯელობდნენ კიბერუსაფრთხოებაზე და მონაცემთა ასახვაზე, გადაწყვიტეს, რომ ზოგიერთი თემატიკა ექნებოდათ ძალიან გამჭოლი, მათ შორის კიბერუსაფრთხოება თვითმართვის ნაწილში. ასევე, ახსენეს პროგრამული უზრუნველყოფები, პროგრამა უზრუნველყოფილია ღია რესურსებით, რომელთა მუდმივი განახლება ხდება მათი შემქმნელების მიერ, მაგ., Soundcloud, გათვლაა სწორედ ის, რომ ამ ღია პროგრამით ასწავლონ პოდკასტების წარმოება, ვიზუალიზაციებში, მაგ., Canva, Nightlab, და სხვა ღია რესურსები.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს არის ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ორი დაწესებულება გაერთიანდა საერთო პროდუქტის შესაქმნელად, დაინტერესდა თუ როგორ რეგულირდებოდა სტუდენტების ჩარიცხვა.
„ციფრული მედიისა და ინოვაციების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია კუპრაშვილმა, განაცხადა, რომ დეტალურად ჰქონდათ გაწერილი ხელშეკრულების ნაწილსა და იმ დოკუმენტებში, რომლებიც წარმოდგენილია, მათთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ვალდებულებას სტუდენტებისთვის, სხვადასხვა უნივერსიტეტში სხვადასხვა საგნის გავლის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ესაუბრათ თუ როგორ მოხდებოდა სტუდენტების მიღება პროგრამაზე.
„ციფრული მედიისა და ინოვაციების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ინგა შამილიშვილმა, განაცხადა, რომ ვიდრე პროგრამა მიიღებდა არსებულ სახეს, გაფორმდა ხელშეკრულება ინსტიტუციებს შორის, რომელიც ხარისხის სამსახურში არაერთი რეკომენდაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა და ითვალისწინებს ყველა ჩარჩო დოკუმენტს. ინსტიტუციები თანხმდებიან იმაზე, რომ პარალელურ რეჟიმში იმუშავებს პროგრამა, სილაბუსები შემუშავდა ერთობლივად. მაგ., მიღებას აცხადებს თსუ, 10 სტუდენტი იქნება თსუ-ისთვის, 10 ბსუ-ისთვის, მაგრამ ორივე ინსტიტუციის სტუდენტი ითვლება ორივე ინსტიტუციის სტუდენტად, ანუ ეს არის ერთობლივი სარგებლობა, როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზების, ასევე ერთობლივი განხორციელება გარკვეული

პროგრამების, როგორც ერთიანი სასწავლო კომპონენტით, ისე პრაქტიკის გავლით და ასევე სამაგისტრო ნაშრომის ერთობლივი შემუშავებით.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა საერთო იყო თუ არა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია.
„ციფრული მედიისა და ინოვაციების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ინგა შამილიშვილმა დაადასტურა საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრება. გარდა ამისა ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ აკრედიტაციის შემდეგ იქნება კომისია, რომელიც იმუშავებს ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც დაარეგულირებს ჩარჩო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებს, მათ შორის მისაღები გამოცდების საკითხებს. თუმცა ეს არ ნიშნავს რომ არ უფიქრიათ აღნიშნულ საკითხზე, დაახლოებით შემუშავებული აქვთ თუ როგორი ტიპის გამოცდა უნდა ჩატარდეს, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა გულისხმობს B2 დონის ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებას ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენას. ამავე დროს წერილობით გამოცდას, რომელიც ესეს ფორმისაა და მოიცავს აქტუალურ საკითხს, მათ შორის იქნება ერთობლივი კომისია, რომელიც შეაფასებს ნაშრომებს და საბოლოო ჩარიცხვა განხორციელდება თსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე. ხელშეკრულებები ასევე ითვალისწინებს ფინანსურ ვალდებულებებსაც, რომელი სტუდენტიც აბარებს ბსუ-ში ხელშეკრულებას აფორმებს მასთან და, შესაბამისად, გრანტიც მიემართება ამ დაწესებულებაში. ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტთა მობილობის შესაძლებლობა, ანუ თუ სტუდენტს სურს გაიაროს ერთი სემესტრი თსუ-ში აკეთებს განაცხადს და საშუალება ექნებათ კომისიასთან და ყოველგვარი დამატებითი ბერკეტების გარეშე გაიარონ სასწავლო კურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა განაცხადა, რომ 20 სტუდენტის შემთხვევაში 10-10 სტუდენტი ნაწილდება, დაინტერესდა რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ ყველამ თსუ ან ბსუ აირჩია. ასევე, სთხოვათ ესაუბრათ დაწესებულებების მხრიდან ფინანსური თანამონაწილეობის შესახებ.
„ციფრული მედიისა და ინოვაციების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ინგა შამილიშვილმა, განაცხადა, რომ ხელშეკრულების მე-7 პუნქტი მთლიანად ეხება სწორედ ამ კომპონენტს, ინსტიტუციები თავად იღებენ პასუხისმგებლობას, რომ საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყონ ფინანსური მდგრადობა.
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულებები ასევე, მზად არიან არათანაბარი რაოდენობის სტუდენტების მისაღებადაც. ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა და შეთანხმებულია ცენტრთან, გულისხმობს, რომ პარტნიორი უნივერსიტეტები პროგრამას განახორციელებენ პარტნიორი უნივერსიტეტების ფინანსური თანამონაწილეობით, ბიუჯეტთან დაკავშირებით შედგა პირველადი ხარჯთაღრიცხვა, რომ მიღებული შემოსავლებით ეჩვენებინათ, რომ მზად იყვნენ დაეფინანსებინათ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები, რაც პირველ რიგში გულისხმობდა პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებას და, ასევე, დადასტურებულია, რომ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული არაბიუჯეტური ხარჯები, მათ შორის პროფესორ-მასწავლებელთა ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია. ბსუ-ის შემთხვევაში საუნივერსიტეტო ბიუჯეტით, თსუ-ის შემთხვევაში კი საფაკულტეტო ბიუჯეტით, ანუ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ადასტურებდნენ, რომ მიღებული შემოსავალი სტუდენტების კონტიგენტის გათვალისწინებით არის საკმარისი ხარჯების დასაფინანსებლად, ხოლო არაპირდაპირი ხარჯებს დაფინანსება უზრუნველყოფილია დაწესებულებების მიერ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ, როდესაც ერთობლივი პროგრამები მუშავდება, მათი მიზანია დაწესებულებების საკვანძო კომპეტენციების გაერთიანება, დაინტერესდა თუ რა იყო აღნიშნული პროგრამის შექმნის მოტივი, თუ ორივე საგანმანათლებლო დაწესებულება ერთიდაიგივე პროგრამას ცალ-ცალკე განახორციელებს.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა, განაცხადა, რომ აღნიშნული ერთობლივი პროგრამის განხორციელება უნდა განიხილონ, როგორც რეგიონული განვითარების შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი. საქართველოს თანამედროვე საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პირობებში რეგიონული განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია და არ შემოიფარგლება მხოლოდ საფინანსო-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური საკითხებით, არამედ მოიცავს კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოების ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროს, ასეთ პირობებში გარდაუვალი აუცილებლობით პრიორიტეტული ხდება, უნივერსიტეტის მესამე მისიის განხორციელების აუცილებლობა და სწორედ ამ მიზნით მოხდა ორ უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულების გაფორმება. აღნიშნულ პროგრამას აქვს მაღალი ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, აქტიურად მონაწილეობდა USAID, ბაზრის კვლევის დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის საელჩოს დაკვეთით და შესაბამისად ამ კომპონენტის გათვალისწინება განაპირობებს პროგრამის განსაკუთრებულობას. რაც შეეხება კომპეტენციას, იღებენ ვალდებულებას რომ შედეგები ერთნაირად იქნება მიღწეული ორივე უნივერსიტეტში. სტუდენტებს აძლევენ სრულ თავისუფლებას, სადაც მას სემესტრის დასაწყისში შეუძლია გააკეთოს არჩევანი, თუ რომელ დაწესებულებაში ისწავლის.

„ციფრული მედიისა და ინოვაციების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია კუპრაშვილმა, განაცხადა, რომ მათი ერთ-ერთი სამიზნე არის საზოგადოებრივი მაუწყებლის გაუმჯობესება. საქართველოს კანონმდებლობით არსებობს ერთი საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომლის ნაწილიც არის აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლობა. შესაბამისად, ასე დაინახეს აღნიშნული პროგრამა, რომ ეს არის ერთობლივი პროგრამა, სადაც აქვთ გასაუმჯობესებელი სამიზნე წერტილები. ექსპერტებმა აღნიშნეს თუ რამდენად ძლიერი იყო პრაქტიკოსი ჟურნალისტების ჩართულობა პროგრამაში. ერთ-ერთი გაზიარებული კომპონენტი არის პრაქტიკის კომპონენტი, რადგან შესაძლებელია ბათუმმა უფრო მეტი მისცეს თბილისს.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, მარინე გიორგაძემ, განაცხადა, რომ პარტნიორობაში უფრო ძლიერ მხარედ თვლიან თსუ-ის, რომლისგანაც შეუძლიათ მიიღონ დიდი გამოცდილება. ბსუ-ში იყო ჟურნალისტიკის პროგრამა, თუმცა 2010 წლის შემდეგ აღარ ხორციელდება კადრების სიმცირის გამო, აღნიშნულ პროგრამას ბევრი თანამშრომელი/მხარდამჭერი ჰყავს და სწორედ ასეთი თანამშრომლობის ფარგლებში ჩათვალეს სწორად პროგრამის ხელახლა წარდგენა.

„ციფრული მედიისა და ინოვაციების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ინგა შამილიშვილმა, განაცხადა, რომ ეს მართლაც ის აუცილებელი მარცვალია, რომელიც სჭირდება უნივერსიტეტს ჟურნალისტიკის მიმართულების ჩამოსაყალიბებლად, იმ ახალი/თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რომელიც არის ამერიკულ/ევროპულ სივრცეში, მას ჰქონდა შესაძლებლობა თავად ენახა ამერიკაში პროგრამის განხორციელების პროცესი. ჩაშენდა 3 მოდული, რომელზეც განთავსებულია უამრავი მასალა, პორტალზე მუშაობა უკვე დასრულებულია. ეს არის ქმედითი კოლაბორაცია. მისი თქმით რეგიონალური მედია საშუალებები მისცემენ მათ იმის შესაძლებლობას, რომ სტუდენტებმა გაიარონ პრაქტიკები რეალურ გარემოში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში იყვნენ თუ არა დეპოლის უნივერსიტეტში.

„ციფრული მედიისა და ინოვაციების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ინგა შამილიშვილმა, დაადასტურა, რომ იყო, როგორც დეპოლის უნივერსიტეტში, ასევე, ლაიოლას და ილინოისის უნივერსიტეტებში, ასევე დეკემბერში ჩამოსულები იყვნენ საქართველოში და ჩაატარეს სამუშაო შეხვედრა. ასევე, ბულგარეთის

უნივერსიტეტთანაც აქვთ საკმაოდ კარგი თანამშრომლობა, პროგრამის ხელმძღვანელი და ხუთი განმახორციელებელი პერსონალი უახლოეს მომავალში მიემგზავრებიან სწორედ ბულგარეთში.
ექსპერტმა, თინათინ ცომაიამ, განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, ამ ეტაპისთვის პროგრამა ნამდვილად აკმაყოფილებს ინოვაციურობის კომპონენტს, ისეა აწყობილი, რომ მოთხოვნებთან შესაბამისია.
„ციფრული მედიისა და ინოვაციების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია კუპრაშვილმა, სახელმძღვანელოების შესახებ განაცხადა, რომ დაწესებულებას შესყიდული აქვს შესაბამისი ლიტერატურა, რომელიც მალე მიეწოდება დაწესებულებას, სწორედ ამიტომ არ არის ამ ეტაპზე ლიტერატურა სრულყოფილად განთავსებული ბიბლიოთეკაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:50
დასრულების დრო: 20:35

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ციფრული მედიისა და ინოვაციების" ერთობლივი სამაგისტრო აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
1.რეკომენდებულია, რომ ორივე უსდ-მ შეიმუშაოს სამაგისტრო პროგრამაზე მიღების ერთობლივი წესი და გაიწეროს კრიტერიუმები როგორც წერითი გამოცდისთვის, ისე გასაუბრებისთვის.
2. რეკომენდებულია, რომ მოხდეს პროგრამის მეორე მიზნის შესაბამისი შედეგების გაძლიერება და გამოკვეთა, რაც გულისხმობს, ჟურნალისტის/ ჟურნალისტიკის როლის მნიშვნელობის გააზრებას დემოკრატიის განვითარებაში. უფრო ნათლად უნდა გამოიკვეთოს ციფრულ მედიაში ჟურნალისტის/ჟურნალისტიკის თვისებები, მისია და ჟურნალისტის მიერ ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების დინამიკა.
3. რეკომენდებულია, რომ ერთობლივი პროგრამის ფარგლებში მოხდეს აკუმულირებული ცოდნის გაზიარება და გაცვლა ნაცვლად პარალელური პროცესების წარმოებისა: შეიქმნას ისეთი მოქნილი სტრუქტურა, რომლის საშუალებითაც ერთობლივი პროგრამის სტუდენტს ექნება პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, ყველა პარტნიორ დაწესებულებაში სწავლის ვალდებულება სხვადასხვა კომპონენტებზე. მაგალითად პირველ სემესტრს გაივლის თსუ-ში, მეორეს - ბსუ-ში და ა. შ.

4. რეკომენდირებულია ორი არჩევითი კურსი - „კიბერკულტურა და ჟურნალიზმი“ და „მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია“ გადავიდეს სავალდებულო საგნების ნაწილში, რათა პრაქტიკული/საშემსრულებლო უნარების განვითარება და პროგრამის სწავლის შედეგი იყოს რეალურად მიღწევადი.
5. რეკომენდირებულია, პროგრამაში მკაფიოდ გაიწეროს/ინტეგრირდეს კიბერ უსაფრთხოების, მედია მენეჯმენტის და ინოვაციური ტექნოლოგიების შესწავლის პრინციპები.
6. რეკომენდებულია, რომ სწავლების დაწყებამდე, პროგრამის ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ შეამოწმონ სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა და შეავსონ ყველა შესაძლო დანაკლისი, რათა სტუდენტს ქონდეს კურსით გათვალისწინებულ მასალაზე დაუბრკოლებლად წვდომა და შეძლოს დაგეგმილი სასწავლო შედეგის მიღება.
7. რეკომენდებულია, რომ ახალ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას ჰქონდეს ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტი და წინასწარ იყოს განსაზღვრული ბიუჯეტის ძირითადი კომპონენტები, მაგ: სავარაუდო/მოსალოდნელი ხარჯები და შემოსავლები, რათა თავიდან იქნას აცილებული პროგრამის განხორციელებისას წარმოშობილი შესაძლო ფინანსური სირთულეები

რჩევები:
1. სასურველია, რომ პროგრამის მიზნებში უფრო მეტად გამოიკვეთოს ჟურნალისტის როლის მნიშვნელობა დემოკრატიული საზოგადოებისათვის ან როგორც დღევანდელი, ისე მომავალი ჟურნალისტის ანტრეპრენერის როლი.
2. სასურველია ავტომატიზირებული სისტემების მუდმივი გადამოწმება. შეფასების სისტემებში თვითშეფასებისა და თვითრეფლექსიის გაძლიერება.
3. სასურველია, რომ შენარჩუნებული იყოს საუკეთესო სტარტი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიმართულებით, როგორც ამერიკული, ისე ევროპული მაგალითებით. რეკომენდებულია უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის გაწევრიანება პროფესიულ ასოციაციაში, მაგალითად (EJTA https://www.ejta.eu/) ეს ასოციაცია ევროპის 75 ზე მეტი ქვეყნის უნივერსიტეტის ჟურნალისტ განმანათლებლების ერთობაა. ამ ასოციაციის წევრები არიან საქართველოს ორი უნივერსიტეტი- ჯიპა და საქართველოს უნივერსიტეტი, რომლებიც ყოველწლიური კონფერენციებისა და სხვადასხვა ერთობლივ პროექტებში მონაწილეობით მუდმივად ეუფლებიან ახალ ცოდნას, სწავლების სიახლეებსა და ეცნობიან დარგის გამოწვევებს.
4. სასურველია რომ მოხდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გეგმის შემუშავება და შესაბამისი აქტივობების წარმოება. სასურველია აკადემიური დამოუკიდებლობის პრიორიტეტიზაცია და ამისათვის შესაბამისის გეგმის შემუშავება.
5. სასურველია აკადემიური და განსაკუთრებით მოწვეული პერსონალის უკეთ ინფორმირება შეფასების სისტემების შესახებ.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ციფრული მედიისა და ინოვაციების" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 26 აპრილს, 20:40 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით